პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

ფასი ... მანეთი. (price illegible)

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—ღ...ის 14—76, სტამბის—ჯამის—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. ... რესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

კვირა, 12 ივნისი 1921 წ.

№ 82 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 82

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პროფკავშირთა კონფერენცია

დღეს, 12 ივნისს ნაშუადღევის 3 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრის დარბაზში გაიხსნება საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია.

სადელეგატო მანდატების და შესავალ ბილეთების მიღება შეიძლება სამანდატო კომისიაში, რომელიც მოთავსებულია პროფკავშირთა საბჭოს შენობაში (მუშათა სასახლე ოთახი № 1).

საორგანიზაციო ბიურო.

## დიდმნიშვნელოვანი კონფერენცია.

გუშინ წინ დასრულდა თბილისის კომუნისტური პარტიის საქალაქო კონფერენცია, დღეს გაიხსნება საქართველოს პროფესიონალური კავშირების საერთო კონფერენცია.

ძნელი ასარჩევია, თუ რომელი მათგანი უფრო დიდი მნიშვნელობისაა ახლანდელ მომენტში ჩვენი ხალხისთვის. პირველმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს კომუნისტური პარტიის გამაგრება გამტკიცების საქმეს, ხოლო მეორე მოწოდებულია—საფუძველი ჩაუყაროს მთელ ჩვენს მომავალ კომუნისტურ ცხოვრებას.

მრავალ გზის გვითქვამს და მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ხალხი ერთიანათ მშრომელი ხალხია და აი დღეს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან, ყოველ უბნიდან უნდა შემოკრბენ მისი, ამ მშრომელი მასსების წარმომადგენლები.

შრომა მრავალ პროფესიით არის დაყოფილი და თვითეული მათგანი თავისებურ პირობებში ვითარდება. მაგრამ მეორე მხრით შრომა ყოველ ეპოქაში, ამ ეპოქის დამახასიათებელ საერთო პირობებშია ჩაყენებული და მთელი ეპოქის შეცვლასთან ერთათ მისი პირობებიც იცვლება: დღეს იგი სავსებით თავისუფლდება იმ შემავიწროვებელ პირობებისაგან, რომელშიაც ის კაპიტალიზმმა ჩააყენა.

ჩვენ ვიცით, რომ შრომის განთავისუფლების მთავარი იარაღი, საშუალება ეს პოლიტიკურ სოციალური რევოლიუცია, რომელიც საერთოთ კაპიტალიზმის წინააღმდეგ არის დღეს მიმართული, მაგრამ შრომა თვით კაპიტალიზმის ნიადაგზე დამყარებული ებრძოდა და მრავალ ქვეყნებში დღესაც ებრძვის კაპიტალს თავის პირობების გასაუმჯობესებლათ.

კაპიტალიზმის ნიადაგზე შრომის პირობების გაუმჯობესება ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით შრომის საბოლოოთ განთავისუფლება თვით კაპიტალიზმის ბატონობისაგან, აი ორგვარი მიზან-დანიშნულება, რომლის მისაღწევათ იბრძოდა და იბრძვის მუშათა კლასი.

პირველს იგი აღწევს ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლით პროფკავშირების საშუალებით, ხოლო მეორეს—რევოლიუციით, რომელსაც იგი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობა წინამძღოლობით აწარმოებს.

ყოველივე ეს ითქმის ყველა იმ ქვეყნებზე, სადაც დღეს კაპიტალიზმი ისევ მძვინვარებს; მაგრამ არიან ქვეყნები, სადაც კაპიტალიზმის პოლიტიკური ბატონობა უკვე დაემხო და სადაც პროლეტარულმა რევოლიუციამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა: ეს არის საბჭოთა რესპუბლიკები. ამ ქვეყნებში დღეს კაპიტალიზმის ნაშთებზე თუ შეიძლება ლაპარაკი და ამ ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაზე, თვარა კაპიტალიზმის ნიადაგზე შრომის პირობების გაუმჯობესების ცდა სრულიათ უადგილოა. დღეს საბჭოთა რესპუბლიკა ისეთი ბასრი იარაღია მუშათა ხელში, რომ კაპიტალისტების მხრივ ამ სახელმწიფოებში შრომის პირობების შევიწროებაზე ლაპარაკი და ამ შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა—მუშათა კლასის მხრივ ეკონომიურ ნიადაგზე დამოუკიდებლათ, მაგალითად გაფიცვებით და სხვა, ენერგიის უნაყოფოთ ხარჯვა იქნებოდა და ხშირათ სახელმწიფოებრივ მექანიზმში დიდ ნჯღრევას გამოიწვევდა.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ დღეს საბჭოთა სახელმწიფოებას პროფკავშირების მიზან-დანიშნულება სხვაგვარია, ვიდრე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

ასევე ითქმის ჩვენს საქართველოზედაც იმ განსხვავებით, რომ ჩვენში პროფკავშირების შემადგენლობა არ იქნება ისე წმინდა პროლეტარული მუშური, როგორც ეს რუსეთშია, რომელსაც ათ-მილიონიანი სამრეწველო პროლეტარიატი ხელმძღვანელობს.

პროფკავშირების როლი როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც ძირითადათ შეიცვალა: წინათ მუშა ებრძოდა კერძო „ხაზეინს“, დღეს ეს „ხაზეინი“ ვეღარ „ხაზეინობს“, ვინაიდან თვითონ მუშა პატრონია მთელი სახელმწიფოის. შრომის პირობებს დღეს თვით სახელმწიფო აწესრიგებს და ამ მოწესრიგებას თვითონვე მუშა განაგებს, მაშასადამე მას ამ მხრით ვისმეს წინააღმდეგ ბრძოლა სულაც არ სჭირდება.

მას სჭირდება მხოლოდ ის, რომ მისი შრომა იმდენათ განაყოფიერდეს, რომ იგი მასაც აკმაყოფილებდეს და სახელმწიფოებრივ საჭიროებასაც. ის დღეს ამ სახელმწიფოს საჭიროების დაკმაყოფილებაში ისევეა დაინტერესებული, როგორც თვით თავის პირადი საჭიროების დაკმაყოფილებაში, ვინაიდან სახელმწიფო დღეს მხოლოდ მისი ინტერესების ერთგული დარაჯ დამცველია და სხვა არაფერი.

მაშ მუშა საბჭოთა რესპუბლიკაში კი არ ებრძვის სახელმწიფოს, არ ეწინააღმდეგება მმართველ პარტიას, როგორც ეს წინათ იყო, არამედ პირიქით, იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ამ სახელმწიფოს მართვაგამგეობაში და თვით ხდება სრულუფლებიანი წევრი მართველი პარტიისა.

მაგრამ პროფკავშირი, ეს ორგანიზაცია წარმოებითი პრინციპზე აგებული, აქ შრომაში დახელოვნებული და გამოცდილი ფართე მასსებია შემოკრებილ-გაერთიანებული, ამიტომ მას ძალა შესწევს წარმოებას გაუძღვეს და ეკონომიკის ახალი ფორმები შექმნას.

დღეს, დღევანდელ მომენტში უპირველესათ სწორეთ ასეთი შემოქმედებაა აუცილებლათ საჭირო. დღეს მუშათა კლასს და მასთან ერთათ მთელ კაცობრიობას ისტორიამ კითხვა დაუყენა: ან შექმენი ეკონომიკის ახალი ფორმები, ახალი სისტემა, ან ელოდე და დაიღუპე დედამიწის პირიდან.

და ცხადია საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი, რომელსაც აქვს ნათლად ეს ისტორიული მისია შეგნებულ-გათვალისწინებული, მოიმარჯვებს რევოლიუციით მოპოვებულ სახელმწიფოებრივ აპარატს და პროფკავშირების საშუალებით შეუდგება საჭირო აღმშენებლობითი საწარმოვო შემოქმედებას.

ამის თავდებია პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის დაარსება მოსკოვში, ამის თავდებია წითელი პროფკავშირების გაძლიერება ყველა ქვეყნებში და უმთავრესათ ამის თავდებია ის, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში დღეს უპირველესი ყურადღებაა მიქცეული პროფკავშირების ორგანიზაციების გამტკიცებისაკენ და მათი შემოქმედების ხელი შეწყობისაკენ.

ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც საქართველოში: 1) ავამოძრაოთ მთელი მათი ძალღონით არსებული პროფკავშირები, 2) შევქმნათ წარმოების ახალ ახალ დარგებში ახალი ორგანიზაციები, 3) მივსცეთ მათ ლოზუნგი შრომის განყოფიერების, წარმოების აღდგენის და ეკონომიკის ახალი ფორმების, ახალი სისტემის შექმნისა!

დღევანდელი კონფერენციის მიზანიც სწორეთ აი ამ ლოზუნგის გადასროლაა ჩვენს მშრომელთა ფართე მასსებში! წინ ამ გზით, ამხანაგებო, და ჩვენ დღევანდელ კრიტიკულ მომენტშიაც გავიმარჯვებთ!

რ. ქ.

## ს. კ. პ. თფილ. ორგანიზაციის პირველი პარტიული კონფერენცია

**ამხ. მახარაძის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ.**

**მახარაძე:** ამხანაგებო, დღეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების სამითვის გამოცდილების შემდეგ, შევიკრიბეთ თბილისის ორგანიზაციის კონფერენციაზე, რომ განვიხილოთ ჩვენი პოლიტიკა, განვიხილოთ და გავაშუქოთ ჩვენი ტაქტიკა წარსულში, აგრეთვე დავსახოთ ის ხაზები, რომლის მიმართულებით ჩვენ წავალთ მომავალში. ამხანაგებო, არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ უკანასკნელ დროს ჩვენს პარტიაში ეჩხნევა რაღაც რყევა, რაღაც უთანხმოებანი, გაისმის ცალკე ჩივილი იმაზე, რომ ჩვენი პარტიის ხაზი არ არის გამორკვეული, პოლიტიკური კურსი არ არის გამართული, რომ ყოველგან მოსჩანს რაღაც გაურკვევლობა, გაურკვევლობა; არის ჩივილი თვით იმაზედაც, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში იხრება ბურჟუაზიული ორიენტაციისაკენ, რომ ჩვენ დავსცილდით კომუნიზმს და სოციალიზმს. ეს ყველაფერი ადვილად აიხსნება: პირველი, ამ მოკლე დროის განმავლობაში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ განმტკიცდნენ, ჩვენ ჯერ არ გვყავს, შეიძლება ითქვას, პარტია მტკიცე, დისციპლინის მქონე შედუღებული—ერთის მხრივ; მეორეს მხრივ, საბჭოთა ორგანოებიც, საბჭოთა აპარატებიც ამ დროში სათანადოდ ვერ მოეწყო. და ამიტომ ყველა საყვედურებს, რომელიც გაისმოდა და გაისმის, აქვს თავისი მიზეზები, როგორც უკვე გითხარით, ჩვენ იმისთვის შევიკრიბეთ აქ, რომ განვიხილოთ ჩვენი პოლიტიკა და დავსახოთ ჩვენი მიზნები, ამოცანები.

ჩვენ ყველამ მარქსისაგან ვისწავლეთ სოციალიზმის თეორია, მაგრამ პრაქტიკა, ნამდვილი სოციალისტური წყობილების აღმშენებლობის გამოცდილება ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონია. შეიძლება ჩვენ ვიყავით კარგი რევოლიუციონერები, კარგად გვქონდა წარმოდგენილი ბურჟუაზიული წყობილების დანგრევის ამოცანები, მაგრამ ბევრისთვის არ იყო ცხადი, თუ შემდეგ რა უნდა გაგვეკეთებინა. როდესაც რუსეთში მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია, როდესაც მუშათა კლასი ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში, ეკონომიური მხრით უთუოდ ჩამორჩენილ ქვეყანაში,—მსოფლიო რევოლიუციის მოწინავე რაზმი, რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის სახით, ფიქრობდა ერთის დაკვრით, ერთი გაქანებით შეეცვალა ჩვენი ეკონომიური წყობილება, გარდაექმნა იგი, უეჭველია, ბევრს ამ სახით ეხატებოდა ჩვენი მიზანი, მაგრამ პრაქტიკამ, გამოცდილებამ, სოციალურ ურთიერთობის ღრმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს შეუძლებელია. თუ კი, მიუხედავად ამისა, რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მაინც მოახდინა ეს გადატრიალება, ეს უდიდესი რევოლიუცია მსოფლიოში, მას უწინარეს ყოვლისა იმის იმედი ჰქონდა, რომ იფეთქებდა კომუნისტური რევოლიუცია სხვა ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასი უფრო კულტურულია და პირობებიც უფრო ხელსაყრელია სოციალიზმში, შედარებით, უმტკივნეულოდ გადასვლისათვის. საამისოდ ბევრი გააკეთა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ; და მართლაც, დასავლეთ ევროპას მუშათა კლასმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ამ მიმართულებით, მაგრამ, როგორც იცით, თვით რევოლიუცია ჯერ კიდევ არ მომხდარა. ამნაირად დასავლეთში კომუნისტური რევოლიუციის იმედი, რომელიც უნდა გამხდარიყო დამცველი და დასაყრდნობი რუსეთის სოციალისტური რევოლიუციისა და იგი წარემართა წინ ამ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში,—ეს ანგარიში ჯერ არ გამართლებულა. მაგრამ ძალაუფლება, რომელიც მუშათა კლასმა დაიპყრო ასეთი სიძნელით, არ შეეძლო მას დაეთმო, ხელიდან გაეშვა, და ამისათვის დაიწყო ის გაუგონარი ომი, რომელიც სამ წელიწადზე მეტი გრძელდებოდა და რომელმაც მოითხოვა მუშათა კლასისაგან ძალების ისტორიაში ჯერ არნახული დაჭიმვა. მაგრამ საჭირო იყო ცხოვრება, საჭირო იყო ამ ბრძოლის წარმოება, ამასთან ამ ბრძოლის საშუალებაც—წითელი ლაშქარი. მეორეს მხრივ, მუშათა კლასს აგრეთვე უნდა განეხორციელებინა თავისი პროგრამაც—ხელი მოეკიდა შენებისათვის, ახალი სოციალისტური წყობილების საფუძველი უნდა ჩაეყარა. აი რა რთული ვითარება შეიქნა დღევანდელ რუსეთში პირველ დღეებიდანვე. ამ ბრძოლაში თავი იჩინა, უნდა გამოჩენილიყო და არ შეიძლებოდა არ გამოჩენილიყო, წმინდა სამხედრო კომუნიზმი. უკვე არ შეიძლებოდა გეგმიანი მეურნეობის იმედი გვქონდა, რომლისაკენ ისწრაფოდა რუსეთი პირველ დღეებში, დრო არ იყო შედეგების და აწონ-დაწონვისა, უნდა მიგვეღო ზომები არა მარტო იმის შესახებ, რომ მოგვეხდინა მრეწველობის და ვაჭრობის ნაციონალიზაცია, საჭირო იყო არა მარტო სოციალისტური მიწადმოქმედების მოწყობა, არამედ აუცილებელი იყო მიგვეღო, ამოგვეწურა რაც შეიძლება მეტი პური, მიგვემართა რეკვიზიცია-კონფისკაციისათვის. საომარი ვითარება, რომელიც შეიქმნა და მოითხოვდა გადაუდებელ ზომებს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, რომ პროლეტარიატს შეენარჩუნებინა დიქტატურა და მუხლი არ მოეყარა მემამულეების და კაპიტალისტების წინაშე,—უკარნახებდა ზოგჯერ ისეთ ნაბიჯებს, რომელიც, შეიძლება, ეწინააღმდეგებოდა რუსეთში, როგორც ჩამორჩენილ ქვეყანაში, არსებულ ეკონომიურ პირობებს. პირველ დროში მხოლოდ რამოდენიმე რევოლიუციონერებს, რომელნიც იყვნენ მოძრაობის ცენტრში, შეეძლოთ განეჭვრიტათ და შეეფასებინათ შექმნილი მდგომარეობა გაითვალისწინებინათ წვრილ-ბურჟუაზიულ წრის ყველა ეკონომიური პირობები, რომლითაც გარშემორტყმული იყო ყოველ მხრივ რუსეთის პროლეტარიატი. მას შემდეგ რაც საბჭოთა მთავრობამ გაიმარჯვა და სისხლიან ფრონტზე დამარცხებულ იქნენ თეთრგვარდიელების უკანასკნელი ცდანი, რომელთაც უნდოდათ იარაღის საშუალებით დაეხოთ საბჭოთა ხელისუფლება, მხოლოდ ამის შემდეგ რუსეთის საბჭოთა მთავრობას და კომუნისტური პარტიას მიეცა საშუალება მიექცია სათანადო ყურადღება იმ მძიმე მდგომარეობისათვის, რომელიც იქნებოდა ქვეყანაში, ჯერ იმპერიალისტური და შემდეგ სამოქალაქო ომის მეოხებით. რანაირია ეს მდგომარეობა? სამხედრო მოქმედებათა ხანგრძლივმა პერიოდმა აუცილებლობით გამოიწვია ქვეყნის დანგრევა, მრეწველობის განადგურება, შრომის ნაყოფიერების თანდათანი დაცემა. მშიერ-მწყურვალ მუშების და გლეხების დაკმაყოფილება მოითხოვდა ამ ნაყოფიერების აწევას. სხვა გამოსავალი არ იყო. ჩვენ ვამჩნევთ, რომ ამიტომ თეთრგვარდიელები ამ ბოლო დროს სცვლიან თავის ტაქტიკას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მხრივ, იმათ უკვე ხელი აიღეს საბჭოთა ძალაუფლების იარაღით დამხობაზე, ისინი მოქმედობენ სხვა გზით, არ ერიდებიან საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგითაც გამოვიდნენ, ოღონდ ბოლოს და ბოლოს დაამხონ ეს ხელისუფლება. შედეგად მივიღეთ კრონშტადტის ამბოხება. სიმართლის არ უნდა გვეშინოდეს, როგორც ეს თქვა ამხ. ლენინმა, საჭიროა გულახდილად განვაცხადოთ, რომ შეუძლებლობა მუშების და გლეხების აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა ნებას არ გვაძლევს შემდეგში განვაგრძოთ რეკვიზიციის კონფისკაციის, სამეურნეო პროდუქტების ამოქაჩვის პოლიტიკა. ჩვენ არ შეგვიძლია ეს პოლიტიკა გავაგრძელოთ იმიტომ, რომ გლეხობა დღეს ერთადერთი კლასია, რომელსაც შეუძლია ამ მძიმე მდგომარეობიდან გადაარჩინოს ქვეყანა, და ანგარიშის არ გაწევა ამ მრავალ რიცხოვან კლასისათვის, ჩამორთმევა არა მარტო ზედმეტისა, არამედ მისი არსებობისათვის აუცილებელი საგნებისა—შეუძლებელია. გლეხობას უნდა ასწიოს ეხლა თავის შრომის ნაყოფიერება. რატომ აქვს ჩვენთვის ეხლა ასეთი მნიშვნელობა წვრილ წარმოებას? საქმე ის არის, მსხვილი მრეწველობას, რომელიც იმყოფება სახელმწიფოს ხელში, არ შეუძლია ეხლა ისე წარმატებით წაიყვანოს საქმე, წარმოების იარაღების უქონლობის გამო, რომელიც შემოჰქონდათ უმთავრესად საზღვარ-გარეთიდან და რომელიც რუსეთში ძალიან გაცვდა, გაფუჭდა. წვრილი წარმოების აწევა, წვრილი საჭურველი გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება,—ამის განხორციელება შესაძლებელია, ვინაიდან ამისათვის არ არის საჭირო დიდი ხარჯის გაღება და საზღვარ-გარეთელი გაუმჯობესებული მანქანები. ეს აუცილებელია არა იმიტომ, რომ ჩვენ ვზრუნავთ მხოლოდ წვრილ მწარმოებლებზე, არამედ იმისთვის, რომ ვიხსნათ ქალაქის მოსახლეობა, უმთავრესად მუშათა კლასი, რომელსაც ესაჭიროება სასოფლო მეურნეობის პროდუქტები. თუ ჩვენში, ან რუსეთში არ იქმნება ეს პროდუქტები საკმაოდ, ჩვენ მას საზღვარ-გარედან ვერ მივიღებთ. ვაუმჯობესებთ რა გლეხობის მდგომარეობას ეხლა, ჩვენ ამით ვქმნით მუშათა კლასის კეთილდღეობას, რომელსაც ხელში უპყრია სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება. ამასთან დაკავშირებით დგას კაპიტალისტებთან კონცესიების საკითხი. ამხანაგებო, თქვენ მშვენივრად იცით, რომ სოციალიზმში გადასვლა გაადვილებულია იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი უფრო განვითარებულია, სადაც სხვა და სხვა დარგის მრეწველობას დიდი ადგილი უკავია. რუსეთის ხელისუფლებას ეს 3—4 წელიწადი უქმად არ გაუტარებია. იგი ამუშავებდა მსხვილი სოციალისტური მრეწველობის გეგმას და ამ გეგმას ატარებდა ცხოვრებაში, კონცესიების საკითხი ერთ დროს ლიმილს—იწვევდა, მას, ეკიდებოდნენ თითქმის აღშფოთებით, მაგრამ ეს იყო ისეთივე განაზღვრული გეგმა, როგორც, მაგ., რკინის გზის ტრანსპორტის მოწესრიგება, ეს იყო ზედმიწევნით გამომუშავებული გეგმა მსხვილი სოციალისტური მრეწველობის გასაძლიერებლად, გეგმა სახელმწიფოებრივი სოციალიზმის შესაქმნელად. ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხ. ლენინმა ცხადად დაგვიმტკიცა, რომ ასეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის დროს, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი არის უდიდესი ნაბიჯი წინ. კონცესიები ჩვენ საშუალებას გვაძლევს რაც შეიძლება დაჩქარებით გამოვიყვანოთ მუშათა კლასი იმ აუტანელ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი მოექცა პროდუქტების უქონლობის გამო. ამისათვის საჭიროა დახმარება გარედან. ეს დახმარება ჩვენთვის აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა კლასს ჩვენ მრავალ წლობით ტანჯვაში ჩავაგდებდით. თქვენ იცით, რომ საბოლოოდ გადაიჭრა საკითხი კონცესიების შესახებ, რომელიც საბჭოთა მე 8 ყრილობაზე ამოდენა მითქმა მოთქმას იწვევდა. სამოქალაქო ომის გათავებისას ჩვენ საბოლოო განადგურების სურათი გადაგვეშალა წინ. ამ უკანასკნელ წლებში შრომის ნაყოფიერებამ თითქო იმატა, მაგრამ ვინაიდან ძველი მარაგი მთლად ამოიწურა, შრომის ნაყოფიერების ზრდას არ შეეძლო ჩვენი ხსნა. როდესაც იყო ლაპარაკი კრიზისზე და პარტიის დასნეულებაზე, ამ პარტიის სიღრმეში, მის წიაღში წარმოებდა სულ სხვა რამე, მუშავდებოდა ქვეყნის ხსნის ახალი გეგმა. ამ გეგმაში ბევრმა, შეიძლება, ღალატი დაინახეს, მაგრამ რევოლიუციის იმ მოღვაწეებმა, რომელნიც მას ღრმად ჩაუკვირდნენ, იციან და ფიქრობენ სულ სხვანაირად.

(დასასრული იქნება)

## აფხაზეთში.

**მშრომელთა ყრილობა.**

ამხ. კრიშტოვიჩი გამოვიდა საფუძვლიან მოხსენებით თამბაქოს შესახებ. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია: თამბაქოს კულტურად ჩაითვალის უდიდეს მნიშვნელობითი კულტურად ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით, სახელდობრ: მკვდარ და ცოცხალ ინვენტარით უზრუნველყოფა, დაცვა რეკვიზიცია-კონფისკაციისაგან, წარმოების პერიოდში მეთამბაქოეთა განთავისუფლება ურმის ბეგარისაგან, ღებულობს რა მხედველობაში მეთამბაქოეთა გადატაკებას და ანგარიშს უწევს რა რესპუბლიკის განსაზღვრულ ნივთიერ სახსართ, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მიიღოს სასწრაფო ზომები მეთამბაქოეთა უზრუნველსაყოფათ აფხაზეთის საზღვრებში, შესაძლებელ სურსათით იარაღით და საქონლით. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მეთამბაქოების დარგის გაფართოების საკითხების გადაწყვეტაში კოოპერატიული ორგანიზაციათა მხურვალე მონაწილეობა, რომელნიც წარმოადგენენ მეთამბაქოეთა მშრომელ მასების წარმომადგენლებს.

# დღეს ნომერში:

რუსეთის ც. აღმ. კომიტეტმა დაადგინა მოახდინოს საბჭოთა ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკვლევა—აღწერა

საჭიროდ იქნა ცნობილი ყირიმის ცალკე ავტონომიურ რესპუბლიკების გამოყოფა.

ჩეხო სლოვაკეთში გაიხსნა პროვოკატორებისთვის სკოლა, სადაც ოფიცრები და საიდუმლო პოლიციის აგენტები ასწავლიან მუშათა ორგანიზაციების სტრუქტურას, რომ პროვოკატორებს გაუადვილდეთ შიგ შესვლა და თვალყურის დევნება.

მანჩესტერში ინგლისის კომ. პარტიის ყრილობაზე ყრილობის თავმჯდომარემ აღნიშნა კლასთა ბრძოლის უაღრესად გამწვავება და იმედი გამოსთქვა, რომ კომუნისტური რევოლიუციაში ინგლისის პროლეტარიატი მხურვალე მონაწილეობას მიიღებს.

ინგლისის ჯარში იზრდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ სადემობილიზაციო ჯარის-კაცებს შინ არ ითხოვენ, მემადაროეთა გაფიცვასთან დაკავშირებით.

# საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები

## ავტონომიურ რესპუბლიკათა აღწერა.

**მოსკოვი.** 22 მაისი, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. ვლადიმირსკის მოხსენება და მუშაობის გეგმა ავტონომიურ რესპუბლიკათა აღწერის შესახებ. ამ გეგმის მიხედვით ყოველი ცალკე მიმოხილვა უნდა შეიცავდეს ყოველ რესპუბლიკის ეროვნულ და სოციალურ განვითარების ისტორიულ მიმოხილვას, პოლიტიკურსა და ეკონომიურ გეოგრაფიას, მცხოვრებთა სტატისტიკას, პროფესიონალურ მოძრაობას, კულტურულ განმანათლებელ მუშაობას და სოციალურ უზრუნველყოფას. წიგნაკში მოთავსებული იქნება სათანადო კარტოგრამები და დიაგრამები.

სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა შექმნას ამხ. ვლადიმისკის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია რესპუბლიკათა აღსაწერ მუშაობის საწარმოებლად.

## ყირიმის რესპუბლიკა.

**მოსკოვი.** 22 მაისი, სრულ. რუს. ცენ. აღმ. კომ. პრეზიდიუმის სხდომაზე ცნობილ იქნა ყირიმის ნახევარ—კუნძულის აუცილებლივ გამოყოფა ცალკე ავტონომიურ რესპუბლიკათ. ეროვნ. სახ. კომ. წინადადება მიეცა, რათა მან შეადგინოს სათანადო დეკრეტის პროექტი და წარმოუდგინოს სახ. კომ. საბჭოს. გადასწყდა აგრეთვე ყირიმში გაიგზავნოს სრულუფლებიან კომისია ადგილობრივად წარმომდგარ სხვა და სხვა კითხვებისა, მას შორის საადგილო მამულო საკითხის მოსაგვარებლათ და გადასაჭრელათ. ყირიმის თათრები მიწის მეტის მეტ სივიწროვეს განიცდიან. კომისიაში შედიან ამხ. იბრაგიმოვი, დაუგელი და ეროვ. სახ. კომისარიატისა და საადგ. მამ. სახ. კომ. წარმომადგენლები.

## საქონლის გაცვლა-გამოცვლა სოფელთან.

**პეტერბურგი.** 19 მაისი. სოფელთან საქონლის გაცვლა გამოცვლილის კომისია, რომელიც მოეწყო პეტროკომუნასთან, თავის ოპერაციას იწყებს მილიარდიან ფონდისა და საქონლის ფონდიდან, რომელიც პეტროკომუნის საწყობებში არის. კომისია შეთანხმებას სდებს ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებთან იმ მიზნით, რომ შეისყიდოს შინამრეწველობის ნაწარმოები, რომელიც მზადდება რესპუბლიკის ყველა ფარგლებში.

## საქონელი საზღვარგარეთიდან.

**პეტერბურგი,** 30 მაისი (ტელეგრ.). აპრილის განმავლობაში იამბურგზე გაიარა 2300 ვაგონმა უცხოეთის საქონლით.

## ქვა-ნახშირი ამერიკიდან.

**პეტროგრადი,** 19მაისს. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ იქიდან გამოგზავნილია პეტროგრადში 6000 ტონი ქვა ნახშირით დატვირთული ორი გემი.

## ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.

**მოსკოვი,** 22 მაისი. მიმდინარე წლის 1 იანვრამდე დონის ოლქის სამთო-მადნო 140,000 მუშაში ითვლებოდა 85,000 წერა-კითხვის უცოდინარი კაცი. წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიის ენერგიული მუშაობით ეს რაოდენობა 75 პროც. შემცირდა.

## ნაციონალიზაციაზე ხელის აღება.

**ხარკოვი,** 24 მაისი. სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროთა და მიზანშეწონილათ სცნო დროებით შეჩერებულ იქმნას წვრილ წარმოებათა ნაციონალიზაცია.

## რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა.

**მოსკოვი.** 20 მაისი. უმაღლეს სახ. სამ. საბჭოს სამეურნეო პოლიტიკაზე მოხსენების დროს ამხ. მილიუტინმა დაასურათა საბჭოთა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა. ამ ჟამათ ეკონომიურ დარგში სურსათ სანოვაგის ნედლეულობისა და სათბობი რესურსების მხრივ დიდი ნაკლულოვანებაა. ოქტომრის რევოლიუციის შემდეგ ჩვენი მრეწველობა არსებობდა. მხოლოდ წინა წლებში მომარაგებულ მასალების საშვლებით ნედლეულობისა და სათბობი მასალის სიმცირის გამო ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ნაყოფიერი მუშაობა დიდათ შეფერხდა. ამ ჟამათ ჩვენ საუკეთესო ქარხანა-ფაბრიკის წარმოება, ომიანობამდე არსებულთან შედარებით 30% არ აღემატება. არის ზოგიერთი გამონაკლისი. კერძოთ მოსკოვის ოლქში ქვა ნახშირის დამზადება თითქმის მშვიდობიანობის დროსას უდრის. აგრეთვე ზოგიერთი წარმოების დარგი ამ უკანასკნელ წლებში საკმაოთ განვითარდა. დონის ოლქში მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა იქნას ამოღებულ 400,000.000 ფუთი ქვა ნახშირი. ამ რიგათ, სათბობი მასალის მხრივ საქმე უმჯობესდება, მრუდე ხაზი თანდათან მაღლა იწევს. თუ ამ მხრივ მწვავე კრიზისია, ეს აიხსნება მხოლოდ მცირედი შეშისა და ნახშირის ჩამოტანით, თვიურათ გადააქვთ მხოლოდ 15—18 მილიონი ფუთი. მრეწველობის სხვა დარგებს ემჩნევა გაუმჯობესება, მაგალითად ორთქლმავლების შეკეთებისა და წარმოების საქმე თითქმის მოგვარებულია, ლითონის მრეწველობის საქმე მეტად მოისუსტებს. 1920 წელს გაკეთდა სულ 6,000,000 ფუთი თუჯი, ეს ციფრი შედარებით მშვიდობიანობის ხანასთან 25 პროც. უდრის. საბჭოთა მთავრობა ამ ჟამათ დარწმუნებულია იმაში, რომ საბჭოთა ორგანიზაციების და სახელმწიფოებრივი ორგანოები შესძლებენ დიდ-ძალს საქონლეს შეკრებას საქონლის გაცვლა-გამოცვლის საშუალებითა და თავისუფალ ბაზარზე შესყიდვით. მთელი სიმძიმის ცენტრი მიპყრობილია საქონლის გაცვლა გამოცვლაზე და უშუალოდ თვით მწარმოებლისაგან საქონლის შეძენაზე. მტკიცე ფასების ნაცვლად უნდა დაწესდეს რაონებითი საქონლის ეკვივალენტი, ნედლეულობის დამზადების საქმეში უნდა იყოს სრული დეცენტრალიზაცია. მიღებულია ზომები მსხვილი მრეწველობის თვისების და ღირსების მხრივ გასაუმჯობესებლათ. თან და თანობით უნდა მოხდეს მრეწველობის კონცენტრაცია. საჭირო საქონლის დამზადების მიზნათ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ძარილის, ჩითეულების და ტყავეულობის მრეწველობას. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია წვრილი და საშინაო მრეწველობისათვის დახმარების აღმოჩენა. ყოველი ღონე და საშვალება უნდა იქმნას მიღებული კერძო ინიციატივისა და წვრილი მრეწველობის თვითმოქმედობის გასაძლიერებლად და განსავითარებლად.

## სასურსათო გადასახადის სცენაზე გამოსახვა.

**კრასნოდარი.** სასარდლო კურსებს კლუბში გაიმართა საგიტაციო სცენა შემდეგ თემაზე: „სურსათის დაბეგრის შეცვლა სასურსათო გადასახადით". მოქმედების შინაარსი გამოხატავს, თუ რამ აიძულა მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომ მას შემოეღო სურსათით დაბეგვრა, როგორია ამ სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები; მოქმედების შინაარსში დაწვრილებით განმარტებულია, თუ რატომ შეიცვალა ეს სისტემა სასურსათო გარდასახადით, რა სარგებლობას უნდა გამოელოდეს აქედან გლეხი და მუშები. სასურსათო ბეგარა ახალი სააგიტაციო საშუალებით მშვენივრათ ჩატარდა და კარგი ნაყოფიც გამოიღო.

## სატელეგრაფო კავშირი საზღვარ გარეთთან

**მოსკოვი** 21 მაისი. ყველა სატელეგრაფო კანტორას გაეგზავნა ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისრის ბრძანება, რათა ნორმალურად მოეწყოს საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო დეპეშების გადაცემ-გადმოცემა. დეპეშები მიიღება მხოლოდ ჩვეულებრივი ენით და არა შიფრით დაწერილი. ნებადართულია აგრეთვე რაიმე პირობითი გამოთქმის ხმარება, კერძო დეპეშის მიცემის დროს გამგზავნელმა უნდა წარადგინოს შრომის წიგნაკი ანდა სხ. ვინაობის მოწმობა. დეპეშაზე შემოწმებულ უნდა იქნეს გამგზავნელის ხელმოწერა დაწესებულების მიერ, რომელშიაც მსახურობს, პროფკავშირის, ან სახლის კომიტეტის მიერ. საზღვარ გარეთ გასაგზავნი დეპეშები უნდა წარედგინოს სამხედრო ცენზურის იმ ადგილს, საიდანაც ეს დეპეშა იგზავნება. კერძო დეპეშების სიტყვაზე გადასახადი განისაზღვრება სანტიმებით, თითო სანტიმი უდრის 40 მანეთს. გერმანიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში და ფილიანდიაში გასაგზავნ დეპეშების ყოველი სიტყვა ღირს 53 სანტიმი. ნიუიორკში—227 სანტიმი, დიდბრიტანეთში—56 სანტიმი, და სხ. საბჭ. დაწესებულებიდან დეპეშები ფასგადაუდებლად გაიგზავნება.

# საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

## კომუნიზმი ინგლისში.

**ბერლინი.** ინგლისის კომპარტიის ყრილობის თავჯდომარემ მანჩესტერში განაცხადა, რომ ინგლისის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას არას დროს არ მიუღია ისეთი გრანდიოზული ხასიათი, როგორც მან ამ ჟამათ მიიღო. ამ რევოლიუციონური ბრძოლის ხასიათის ასეთი ცვლილება, თუ გარდატეხა უმთავრესათ გამოწვეულია ინგლისში კომუნისტური მოძრაობის გაძლიერებით. კლასობრივი ბრძოლის ეგზომ გამწვავება, რაც ახლახან ინგლისში ხდება, ერთხელ კიდევ ამტკიცებს კომუნისტების მიერ სოციალური რევოლიუციის განვითარების მსვლელობის შესახებ წამოყენებულ საკითხის სისწორეს და აგრეთვე ის ამტკიცებს იმ პირთა არა შორსმჭვრეტელობას და უგუნურობას, ვინც ინგლისის მუშათა მოძრაობას სათავეში ედგა აქამდე. როგორც სხვაგან, ისე ინგლისშიც ბრძოლა სწარმოებს პოლიტიკური ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ის სავსებით იწონებს ქვა ნახშირის მემადაროეთა წარმოებულ შეურიგებელ პოლიტიკას. შემდეგ რუსეთის და გერმანიის მდგომარეობის შესახებ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია. ინგლისელი კომუნისტები გამოთოსთქვამენ იმედს, რომ სხვა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად მსოფლიო რევოლიუციისათვის მომავალ ბრძოლებში გამოვა და მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ინგლისის პროლეტარიატიც.

## უკმაყოფილება ინგლისის ლაშქარში.

**მოსკოვი.** 30 მაისი. მღელვარება დაიწყო ინგლისის ჯარისკაცთა შორის, რომელთაც დემობილიზაცია ეხებათ და მთავრობის მიერ დაკავებულნი არიან მემადაროეთა გაფიცვის გამო.

## კომუნისტების დევნა.

**ლონდონი.** მანჩესტერის პოლიცია შეიჭრა პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალის ადგილობრივ ბიუროს შენობაში, სადაც ხელთ იგდო მრავალი საბუთი. კომპარტიის წევრი უეკ ლეკვი დაატუსაღეს. იგი სასამართლოს გადაეცემა ბირმინგამში. ლეკვს ბრალად ედება რამდენიმე თვის წინეთ მთავრობის წინააღმდეგ სიტყვის წარმოთქმა. სიტყვისათვის დაატუსაღეს აგრეთვე კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტისა და მუშათა კომიტეტის წევრი გალიახერი. ციხიდან იუწყებიან, რომ პოლიტიკურ ტუსაღების მდგომარეობა უფრო მძიმეა ვიდრე სხვა ტუსაღთა.

## ომი ინგლისელების წინააღმდეგ.

**ლონდონი.** გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, რომ ინდოეთის საზღვრებზე უწესოება ხდება. ინდოეთის ნაციონალისტებმა აბდულ რაზამ გამოაცხადა ბაზირისტანის დამოუკიდებლობა, გამოდევნა იქიდან ინგლისელები და ფორმალურად მათ ომი გამოუცხადა.

## ინგლისის მადაროში მომუშავენი.

**ლიონი.** 7 ივნ. (რადიო). ინგლისის მადაროში მომუშავეთა და მადაროების პატრონთა შეერთებული თათბირი დანიშნულია ორშაბათისთვის.

## პროვოკატორთა სკოლა

**რიგა.** 12 მაისი. „სოციალ-დემოკრატი" იტყობინება: სლოვაკიის დედა-ქალაქ ბრატისლავში დაარსებულია ჯაშუშებისა და პროვოკატორების სკოლა. მოკავშირენი ამ სკოლას არამც თუ ხელს უწყობენ, არამედ, როგორც ჩანს, სკოლა მათის ინიციატივით არის დაარსებული. სკოლის პროფესორებათ მოწვეულნი არიან ოფიცრები და საიდუმლო პოლიციის თანამშრომელნი. სკოლის მოწაფეთ მუშათა მოძრაობასა და მუშათა ორგანიზაციების სტრუქტურას აცნობენ, რათა ზემოხსენებულ ორგანიზაციებში პროვოკატორებს შესვლა გაუადვილდეს. ამას გარდა ისინი მონაწილეობას იღებენ ბრატისლავის თეთრ ტერორში.

## სამხრეთ სლავიის რკინის გზელთა შორის.

**ოდესა.** 18 მაისი, გაზეთი „მუშის მომავალი" იტყობინება: ზაგრებაში გაიხსნა სამხრეთ სლავიის რკინის გზელთა კონგრესი, რომელზედაც წარმოდგენილ იყო 55 ათასი რკინის გზებზე მომუშავე. სხვათა შორის კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც პროტესტს აცხადებს კომუნისტთა დევნის წინააღმდეგ.

## შვეცია.

**მოსკოვი.** 22 მაისი. შვეციის ახალგაზრდათა ყრილობაზე სტოკჰოლმში ჩამოშორდნენ ამიერიდან ახალგაზრდათა პარტიას სოციალდემოკრატიული სახელის მაგიერ დაერქვას შვეციის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი. ყრილობას დაესწრენ ახალგაზრდა კომუნისტთა ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის, ამერიკის, ნორვეგიის და დანიის ახალგაზრდობის წარმომადგენელნი.

## ჩხეიძე და რამიშვილი.

**რიგა,** 19 ივნისი. „სოციალ დემოკრატი" იუწყება: თანახმად პარიზიდან მიღებულ ცნობებისა, ივნისის პირველ რიცხვებში რიგაში ჩამოვა საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის დელეგაცია: საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევათ დაავგზავნოს ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში თავის სრულ უფლებიანი დელეგატები. ლატვიაში ჩამოდის ჩხეიძე და რამიშვილი.

## მუშათა მოძრაობა იაპონიაში.

**მოსკოვი,** 22 მაისი. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები აჰაიათებს იაპონიის მუშათა კლასობრივ შეგნების ზრდას და ბრძოლისათვის თავდადებას. ამ ცნობებით 14 წლის განმავლობაში, ე. ი. 1910 წლიდან ომის დაწყებამდე იაპონიაში აღრიცხულია 302 გაფიცვა, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა 58,520 მუშა. 1914 წ. 1919 წლამდე მომხდარა 1,534 გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 211,072 მუშა. უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ გაიზარდა პროფესიონალური მოძრაობა, პროფესიონალურ ტაქტიკაში სინდიკალისტთა გავლენა სჩანს. მუშათა მოძრაობის ზრდა იაპონიაში გამოიწვია აწინდელი ცხოვრების მუდმივ სიძვირეზე თუ 1914 წელს 100 რიცხვათ მივიღებთ, მაშინ ეხლანდელი ფასები შემდეგნაირათ წარმოგვიდგება: ბრინჯი 301, შაქარი 207, შეროული 337, ხორცი და რძე 175, მატერია 450, ამავე დროს კი შრომის ხელფასი ძლიერ მცირე დარჩა და ომის დაწყებამდე ყოფილი ხელფასისა 75—80 პროც. აიწია.

## მუშათა მოძრაობა ავსტრალიაში.

**ბერლინი.** ბაზრის უქონლობის გამო ავსტრალიაში მეტად შეფერხებულია. ავსტრალიის იმ ნაწილში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 5 მილიონსაც არ აღემატება, 70,000 უმუშევარია, მარტო სამხრეთ ვაკილსში 40,000 უმუშევარია. უმუშევრობა, შიმშილობა და გასაჭირი ჰქმნის საუკეთესო ნიადაგს ავსტრალიის პროლეტარიატს შორის კომუნიზმის გასავრცელებლათ და გასაძლიერებლათ. კომუნისტური გავლენა სწრაფი ნაბიჯით იზრდება. ყველა ცალ ცალკე ჯგუფები, რაც კი არსებობდა, დღეს გაერთიანდენ ავსტრალიის ერთს მთლიან კომუნისტურ პარტიაში. კომუნისტების გავლენა განსაკუთრებით დიდია ესამთო მადნო, საზღვაო და მეღითონე მუშათა შორის. ავსტრალიის გემთა მიმოსვლა შეჩერებულია. გემთა პატრონებმა ლოკაუტი გამოაცხადეს და უარი სთქვეს მუშების მოთხოვნილების ასრულებაზე, რომელიც საზღვაო კომპანიებზე მუშათა კონტროლის შემოღებას შეეხებოდა. ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გახშირდა უმუშევართა დემონსტრაცია, რაც ხშირად პოლიციასთან იარაღით შეტაკებით თავდება.

## კომუნისტთა პროცესი.

**მოსკოვი.** 22 მაისი, კომუნისტთა პროცესი ვარშავაში 33 ბრალდებულის გამართლებით დამთავრდა. კომუნისტური იდეის გავრცელებისათვის 3 წლის ციხე მიუსაჯეს მხოლოდ ერთს ბრალდებულს ესტონელ იან კანგს.

## ზემო-სილეზია.

**მოსკოვი.** 21 მაისი. ეკონომიური კრიზისის გავლენით ზემო-სილეზიის მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. უკმაყოფილება მატულობს იმდენათ, რამდენადაც სურსათის მარაგი მცირდება. ფასები ძლიერ იზრდება, [illegible] შრომის ხელფასს, რომელსაც [illegible] არ შეუძლია [illegible] რის გახშირდა დეზერტირობა. სიმშილი ჩქარი ნაბიჯით ახლოვდება. ნედლი მასალის უქონლობის გამო ქარხნები იკეტება.

## კანონი ბაჟის შესახებ

**მოსკოვი** 22 მაისი. ინგლისის თემთა პალატამ მიიღო კანონი მფარველობითი ბაჟის დაწესების შესახებ შემოტანილ საქონლის ნახევარ ღირებულების 33 პროცენტის კვალობაზე.

## საფრანგეთში

**ბერლინი.** ამ უკანასკნელ მანიფესტაციებისა და ომის წინააღმდეგ საპროტესტო კრებების დროს მომხდარ შეტაკებებზე ოფიციალურ გამოანგარიშებით პოლიციელთაგან დაიჭრა 30 კაცი მანიფესტანტების მხრივ კი 3 კაცი.

## იქაც არა აქვთ ბურჟუებს მოსვენება.

პალესტინის უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, რადგანაც პალესტინაში ამ ბოლო დროს ბოლშევიკები გაჩდნენ, ამიტომ პალესტინაში მოსულ ემიგრანტებს მკაცრად ვადევნებთ თვალყურსო.

## გეღოვლათი კვლავ ცოცხალია.

**ოდესა** 5 ივნისი. (რადიო). სკოროპადსკი აქტივობას იჩენს. მან სხვადასხვა უკრაინის ჯგუფებს მიმართა, რათა ისინი შეგროვილიყვნენ მის გარშემო და ანტანტის დახმარებით აღედგინათ უკრაინა სკორპადსკი მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისთან, საფრანგეთთან და იტალიასთან ფინანსიურ დახმარებისთვის. იგი გერმანიაში აარსებს მსხვილ სამრეწველო სინდიკატს, რომელიც შემდეგში პოლიტიკურ ცენტრად უნდა გადაიქცეს.

## უნებლიეთი აღიარება.

**ლონდონი.** 18 მაისი. ოპელნიდან „დეილი ნიუზის" სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ზემო სილეზიაში მომხდარმა და განგრძლივებულმა არეულობამ იგი დაარწმუნა იმაში, რომ უდისციპლინო და გაუწვრთნელ პოლონელ ბანდებთან შედარებით სხვა დასხვა წითელი ჯარი წარმოადგენს დიდს თვალსაჩინო სამხედრო ორგანიზაციას. ორი კვირის განმავლობაში პოლონურმა ბანდებმა ევროპის ერთ საუკეთესო და მდიდარ ოლქში საშინელი ტერორი გაამეფესო.

## ანტანტის ახალი ავანტიურა.

**ნაუენი.** 5 ივნისი, (რადიო) ბრიტანეთის ფლოტი მალტის ნავთსადგურებში იკრიბება, რადგანაც მოსალოდნელია მოკავშირეთა სამხედრო მოქმედება ბერძნების დასახმარებლად.

**რომი,** 5 ივნისი (რადიო). ლონდონში შესდგა ინგლისის მინისტრთა საბჭოს სხდომა ოსმალეთის საკითხის განსახილველათ. ქემალისტთა წინააღმდეგ ბერძნების მომხრეთა რიცხვი თანდათან იზრდება. ოფიციალური წრეები უარყოფენ ხმებს ინგლისის სამხედრო გემების მალტაში შეჯგუფების შესახებ. ინგლისის პრესსა გრძნობს რა ამ ცნობის სრულ სიცრუეს, მაინც პროტესტს აცხადებს ამგვარ ავანტიურის წინააღმდეგ, რომელიც ინგლისს ძვირად დაუჯდება (კავროსტა).

## წავიდნენ.

**ლონდონი.** 5 ივნისი. (რადიო). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისელების ევაკუაცია ჩრდილო დასავლეთ სპარსეთში დამთავრდა.

## გადატრიალება პორტუგალიაში.

**რომი.** 5 ივნისი (რადიო) ახალი გადატრიალება პორტუგალიაში სამხედრო ხასიათისაა. ამგვარი გადატრიალება 1910 წლ. დაწყებული 10-ჯერ მოხდა. ქვეყანა სრულ გაკოტრების გზას ადგია.

## მდგომარეობა აღმოსავლეთში

**ლიონი.,** 7 ივნისი. (რადიო). პრესა მრავალ წერილებს უძღვნის იმ სერიოზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთში ნაციონალისტების შეურიგებელი პოზიციის გამო. საბერძნეთის დიპლომატები ლონდონში ყოველ ღონეს ხმარობენ შეთანხმების მისაღწევათ.

## შეურყეველი სახელი.

**ლიონი.** 7 ივნისი. საბერძნეთის მეფემ კონსტანტინემ გადასწყვიტა დაათვალიეროს სმირნის ფრონტი, რომ თავის მისვლით გაამაგროს და აღადგინოს თავისი შეურყეველი სახელი.

## ნაწილობრივი ამნისტია პოლონეთში.

**მოსკოვი.** 22 მაისი. პოლონეთის სეიმის იურიდიული კომისია არ დაეთანხმა თავის ქვეკომისიის გარდაწყვეტილებას პოლიტიკური ამნისტიის გაფართოებაზე და მიიღო მთავრობის ნაწილობრივი ამნისტიის პროექტი პოლიტიკურ დამნაშავეთათვის.

# საქართველოს უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა

ყრილობამ ერთხმათ მიიღო და გაგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშები მოსკოვში.

**მოსკოვი.** მუშა ქალთა ცენტრალურ განყოფილებას:

„საქართველოს მშრომელ უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა, შეიკრიბა რა პირველათ წითელ თბილისში, უგზავნის თავის მხურვალე სალამს რუსეთის მუშა და გლეხთა ქალებს, რომელთაც პირველათ ასწიეს დროშა აღმოსავლეთის დამონებულ მრავალ მილიონ ქალთა განთავისუფლებისა. გაუმარჯოს განთავისუფლებულ ქალს აღმოსავლეთში და მათ ბელადებს, რუსის პროლეტარ ქალებს, გაუმარჯოს მონობისაგან განთავისუფლებულ მთელი ქვეყნის ქალებს“.

**რუსეთის წითელ არმიას.**

„საბჭოთა საქართველოს მშრომელ უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა უგზავნის თავის მხურვალე სალამს რუსეთის წითელ არმიას, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ამ მებრძოლ ავანგარდს. მტკიცეთ გვწამს, რომ აღმოსავლეთის ქალი მსოფლიო რევოლიუციის მსვლელობაში შეასრულებს თავის ისტორიულ როლს და მთელ მსოფლიოს მშრომელ მასსასთან ერთად მიაღწევს კომუნიზმის საბოლოო მიზანს.

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარულ წითელ არმიას და მის ბელადს ტროცკის.

გაუმარჯოს მსოფლიო წითელ არმიის ახლად შედგარ რაზმს, საბჭოთა საქართველოს წითელ არმიას.

**ამხ. ლენინს.**

„საბჭოთა საქართველოს უპარტიო მშრომელ ქალთა პირველი ყრილობა უგზავნის თავის მხურვალე სალამს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის მასწავლებელს და ბელადს, ძვირფას ამხანაგს ლენინს. ყრილობა დარწმუნებულია, რომ ახალ გაზრდა საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონური მუშაობა რევოლიუციონურ ლამპარს დაანთებს აღმოსავლეთში, რომლის ცეცხლიც მოსპობს მთელი ქვეყნის კაპიტალიზმის საზიზღარ მონობას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს ამხ. ლენინს, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის შტაბს მესამე ინტერნაციონალს.

**მისალმება პროფკავშირის საბჭოსი და კომპარტიის თბილისის კომიტეტისა.**

პროფკავშირების საბჭოს და კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ნუცუბიძე: ამხანაგებო, პროფკავშირების და თბილისის კომიტეტის სახელით ვესალმებით წითელ საქართველოს უპარტიო მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას.

ამხანაგებო, თქვენი ყრილობა საფუძველს დაუდებს საქართველოს ყველა მშრომელ ქალთა მუშაობას. კაცთა ორგანიზაციებმა მოგცეს თქვენ მაგალითი თქვენს მუშაობაში, თქვენ კი ხართ გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი აღმოსავლეთის ქალების განთავისუფლებლად. იმუშავებთ რა კაცებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებულნი, თქვენ გამოიყვანთ პროლეტარიატს სწორ ახალ ნათელ ცხოვრების გზაზე და გაანთავისუფლებთ მას კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიისაგან. როდესაც დასავლეთის მუშები და გლეხები დაინახავენ თქვენს მწყობრობას, თქვენს სოლიდარობას, ისინი უფრო მხნეთ წავლენ სამუშაოთ, უფრო ხალისიანათ შესწირვენ მსხვერპლს მთელი პროლეტარიატის განთავისუფლებლად. მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო, ამ საერთო მუშაობისთვის მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელთა განთავისუფლებლად.

გაუმარჯოს საქართველოს განთავისუფლებულ ქალს, გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს მთელი ქვეყნიერობის მშრომელთ, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის ბაირაღ ქვეშ.

**სომხეთის კომუნისტურ პარტიის ქალების განყოფილების მისალმება.**

სომხეთის კომუნისტურ პარტიის ქალების განყოფილების სახელით ყრილობას ესალმება ფლორა ვარდანიანი: ამხანაგები, როგორც იცით, მშრომელი ქალი მთელი თავის სიცოცხლეში იყო მონა, მის აზრსა და სურვილს არავინ უწევდა ანგარიშს, იგი მუდამ გაცილებით დაბლა იდგა კაცზე. მრავალ პირობების გამო სომეხი ქალი ნამეტნავათ იწამებოდა: იგი დამცირებული იყო, მუშაობდა ხარივით და ამავე დროს იგი განუწყვეტლივ დასტიროდა ეროვნულ ხოცვა-ჟლეტაში დაკარგულ მახლობელთ. მაგრამ ეხლა, საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ, სომხეთის ქალმა მოიხსნა ყველა ჯაჭვები და ხელს უწვდის საქართველოს ქალს, რომ მასთან ხელიხელ ჩაკიდებული იბრძოლოს ქალების განთავისუფლებლათ. მაგრამ ამით არა თავდება მთელი მისი როლი. სომხეთმა და საქართველომ ხელმძღვანელობა უნ და გაუწიონ ქალების მოძრაობას აღმოსავლეთში: თუ აღმოსავლეთი არ განთავისუფლდება, შეუძლებელია ის გამარჯვება, რომელსაც ჩვენ ველტვით—თავის უფლების და ბედნიერების გამარჯვება.

**ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის ცენტრ. კომიტეტის მისალმება.**

ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის ცენტრ-კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ძნელაძე.

ამხანაგებო, თქვენი ყრილობის დღე—ისტორიული დღეა. აქ, წითელ თბილისში, პირველათ შეიკრიბნენ საქართველოს ქალები, რომ შეუერთდნენ მთელი მსოფლიოს ქალებს. წინანდელი მთავრობებიც გეუბნებოდნენ ხოლმე, რომ ქალს თანასწორი უფლება აქვს, მაგრამ ამას საქმით არ ასრულებდნენ: ქალი მონა იყო ოჯახშიაც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც. ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოქტომბრის რევოლიუციასა და კერენსკის მთავრობის დამხობაში, მაგრამ მათ არ შეეძლოთ დაუყონებლივ სახელმწიფო აღმშენებლობის გზას დასდგომოდნენ: მათი ქმრები, ძმები, ვაჟი შვილები წავიდნენ ომის ფრონტზე, ქალი მათ მაგივრობას ეწეოდა შრომის ფრონტზე. ეხლა, სამოქალაქო ომის მიყუჩების დროს, თქვენ შეგიძლიანთ იმუშავოთ და ააშენოთ უკეთესი წითელი, ბედნიერი მომავალი.

ამხანაგო ქალებო, ჩვენ მოგიწოდებთ, თქვენი ვაჟიშვილები შეიყვანოთ ახალგაზრდა კომუნისტების კავშირში, რომელიც მათ ასწავლის კომუნიზმს. კავშირი არა თუ მარტო გთხოვთ, იგი ამას მოითხოვს; იგი დაგიბრუნებთ თქვენ შვილებს, როცა დაამზადებს მათ კომუნიზმისთვის საბრძოლველად. გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ქალს. გაუმარჯოს მსოფლიოს ქალს.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## ბრძანება № 59.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით ამხ. ამიაკ ნაზარეთიანი განთავისუფლებულია ფინანსთა და იუსტიციის სახალხო კომისარის თანამდებობიდან.
2. ფინანსთა სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. ალ. სვანიძე.
3. იუსტიციის სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. ს. ი. ქავთარაძე.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

**ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის

მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. ივნისის 11.

თბილისი სასახლე.

## ბრძანება № 60

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით ამხ. შ. ელიავა განთავისუფლებულია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის თანამდებობიდან.
2. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრად დაინიშნა საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის წევრი ამხ. ბუდუ გურგენიძე მდივანი.
3. ამხ. მდივანი დაინიშნა საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის წარმომადგენლად ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კოლეგიაში.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

**ფ. მახარაძე**

რევოლიუციონური კომიტეტის

მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. ივნისის 11,

თბილისი-სასახლე.

## ბრძანება № 61.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით ამხ. შ. ელერდაშვილი დანიშნულია სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

**ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის

მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. ივნისის 11.

თბილისი-სასახლე.

## ბრძანება № 11

**ივნისის 11 1921 წ.**

ცენტრალურ საბინაო განყოფილების სწორ და მიზანშეწონილ მუშაობის ორგანიზაციის მიზნით და აგრეთვე მუშათა და დაწესებულებათა ბინების დასაკმაყოფილებლად ვბრძანებ:

1. ცენტრალურ საბინაო განყოფილებამ დაუყონებლივ სამი დღის ვადაში (ამა წლის ივნისის 13 ორშაბათიდან დაწყებული) მოახდინოს ხელ-ახალი რეგისტრაცია ორდერებისა ოთახების მიცემის შესახებ და გაატაროს ორდერები რეგისტრაციისათვის ცენტრალურ საბინაო აღმრიცხველ-განმანაწილებელ განყოფილების საშუალებით.

მოქალაქეები, რომელთაც ხელზე აქვთ შეუსრულებელი ორდერები, მოვალენი არიან წარმოადგინონ იგი რეგისტრაციისთვის.

სარაიონო საბინაო განყოფილებებს წინადადება ეძლევათ არ აღასრულონ ის ორდერები, რომლებიც აღმრიცხველ განმანაწილებელ განყოფილების მიერ რეგისტრაციაში არ არის გატარებული.

2. ცენტრალური საბინაო განყოფილება შეუდგეს დაუყონებლივ ხუთი ათასი ოთახის ფონდის შექმნას სახელმწიფო და საზოგადო საბინაო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით სახლის კომიტეტების საშუალებით და პასუხის მგებლობით აღრიცხვაზე აღებულ იქმნეს სახლები, რომელიც დაწესებულ საბინაო ნორმებს აღემატება.

3. მესამე რაიონის სახლის კომიტეტთა თავმჯდომარენი და მდივნები საჭირო ინსტრუქციების მისაღებად შეიკრიბონ კვირას, ამა წლის ივნისის 12, დილის 11 საათზე, ბებუთოვის ქუჩა მანთაშევის სკოლაში. მე-2 და 4 რაიონებიდან საღამოს 4 საათამდე ყოფილ არტისტიულ თეატრის საკონცერტო დარბაზში, 9 და 10 რაიონის—ორშაბათს საღამოს 4 საათზე კინო პალასის სადგომში.

სახლის კომიტეტები თუ ორი დღის განმავლობაში არ გამოგზავნიან თავის წარმომადგენლებს, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი 3—თვემდი დატუსაღებით. ქალაქის რევკომის თავმჯდომარე **გეგეჭკორი.**

ცენტრალურ საბინაო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე **კალანდარაშვილი.**

# დუშეთის აჯანყების მესამე წლის თავზე

1918 წლის, 13 ივნისს, იმ დროს, როდესაც მენშევიკური რეჟიმი მძვინვარებდა, დუშეთის მაზრის მშრომელთა გლეხკაცობამ პირველმა აიღო მახვილი ხელში, პირველმა აღმართა ბრძოლის წითელი დროშა ჩვენი ლოზუნგებით, საქართველოში მუშურ გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკის დამყარების მიზნით.

ამ აჯანყებისაკენ დუშეთის გლეხკაცობა მოუწოდებდა საქართველოში მცხოვრებ ყველა მათსავით შევიწროებულ, დაჩაგრულ მშრომელ ხალხს; ამ აჯანყების პროცესში დუშეთის გლეხკაცობამ შესძლო დაენგრია მენშევიკების მიერ აღმართული კედელი, გაება სულიერი და პოლიტიკური კავშირი ამ კედელს იქით მყოფ რუსეთის დიდ პროლეტარულ სახელმწიფოსთან...

მრავალი სისხლი დაიღვარა ამ ბრძოლაში მენშევიკების დამსჯელ „სახალხო გვარდიელებთან“, რომლებიც „რევოლიუციის“ სახელით ებრძოდნენ ამ აჯანყებას, ამ ნამდვილ რევოლიუციონურ საქმეს. მრავალი საუკეთესო ამხანაგები—თომა ჩუბინიძე, მიშა გეგეჭკორი, შიოშვილი და სხვები,—დაეცენ აქ ბრძოლის ველზედ. ამ ბრძოლის ზოგიერთ ხელმძღვანელთ,—ამხ. ფ. მახარაძეს, სერიოჟა ქავთარაძეს, კოტე ცინცაძეს, ლადო დუმბაძეს, და საშა გეგეჭკორს, შერჩათ სიცოცხლე და დღეს საბჭოთა საქართველოში ასრულებენ ხელმძღვანელების როლს.

„უსწორო ბრძოლაში მენშევიკებთან,—რომელსაც ამ დროს საქართველოში მყოფი იმპერიალისტური გერმანიის ინსტრუქტორები, უწყობდენ ხელს—ეს აჯანყება დამარცხდა.

ყველას ახსოვს, ყველას მოეხსენება ამის შედეგი: თფილისის და ქუთაისის საკატორღო ციხეები სავსე იყო დუშეთის განაწამებ გლეხებით, რომლებიც ბრძოლაში სიკვდილს გადაურჩენ.

ამხ. ს. ქავთარაძეს, კ. ცინცაძეს და საშა გეგეჭკორსაც ამ საქმის გამო მრავალი თვეები მოუხდა ციხის ბნელ, საკნებში ჯდომა.

ხვალ, 13 ივნისს, 1921 წელს, ამ აჯანყების სამი წლის თავზე, როცა საქართველოში აღარ არსებობს უკვე ის უბადრუკი მთავრობა და რეჟიმი, რომლის წინააღმდეგ დუშეთის გლეხების აჯანყება იყო მიმართული, არამედ ამ აჯანყებულების სანატრელი მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკა არის დამყარებული, ჩვენ მოწიწებით ავღნიშნავთ ამ ბრძოლას, როგორც დიდ ფაქტს პროლეტარული რევოლიუციისას და შევძახებთ:—დახოცილ რევოლიუციონერებს—საუკუნო ხსენება! ხოლო გადარჩენილებს გამარჯვებას, მედგრად წინსვლას!

ხვალ ქ. დუშეთში გაიხსნება მაზრის უპარტიო გლეხთა კონფერენცია, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებით აღნიშნავს.

**ხევახტი.**

# ქრონიკა

**განათლების სახალხო კომისარიატში.** როგორც ცენტრში აგრეთვე ადგილობრივ, სახალხო განათლების ერთ საორგანიზაციო გეგმის სახალხო ცხოვრებაში გასატარებლად სახალხო განათლების კომისარიატის ხელმძღვანელ ორგანოების წინადადებით დაარსებულია სახალხო განათლების კომისარიატის საორგანიზაციო სამმართველო. სამმართველოს შემადგენლობაში შედიან ა) საინსტრუქტორო განყოფილება, ბ) საინფორმაციო განყოფილება, გ) სტატისტიკური განყოფილება, დ) ყრილობის, კურსების და კონფერენციების განყოფილება, ე) სახალხო განათლების გამოფენის ბიურო, ვ) ბეჭვდითი ბიურო. განათლების სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო სამმართველოს სათავეში ჩაუდგება ამხ. კრესტოვსკი.

**ქალაქის რევკომში.** ქალაქის რევკომის სხდომაზე ამხ. ნასარიძეს მოხსენებაზე ცეცხლის მქრობელ რაზმის მდგომარეობის შესახებ დადგენილია: წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას, რათა ცეცხლის მქრობელი რაზმი და მისი ინვენტარი (ბოჩკები) მოხმარებულ იქნეს მხოლოდ ცეცხლის ჩასაქრობად და ამ პირდაპირ მოვალეობის გარდა ნუ დაეკისრება რაზმს სხვა რამე დავალებანი. აგრეთვე გადაწყვეტილია ცეცხლის მქრობელ რაზმის მუშებს მიეცეს წითელ-არმიელის უფლება და რიგს გარეშე ფულით იქნენ დაკმაყოფილებულნი.

**ხელოვნების განყოფილებაში.** ხელოვნების განყოფილებამ დაადგინა შეიძინოს კომპოზიტორ არაყიშვილის მიერ შედგენილი ოლფეჯის სახელმძღვანელო. ზემოხსენებულ კომპოზიტორს თანახმად დადგენილებისა 500.000 მან. უნდა მიეცეს. ამავე სხდომაზე დადგენილია თიმარაშვილის სახელმძღვანელოს გამოცემა.

— ქართული ხელოვნების განყოფილება ახლო მომავალში შეუდგება ქართული მუსიკის ისტორიის გამოცემას, რომელიც კომპოზიტორ კარგარეთელის მიერ არის შედგენილი.

— სალიტერატურო განყოფილებაში შემოვიდა არტურ ლეისტის განცხადება ქართველ პოეტების ნაწარმოებთა გერმანულ ენაზე გამოცემის შესახებ.

**სტატისტიკური ბიურო.** მუშაობის უდიდეს მიზანშეწონილობის მიზნით უმაღლესს სახალხო სამეურნეო საბჭოს მომარაგების განყოფილებასთან არსდება სტატისტიკური ბიურო 6 კაცისაგან შემდგარ შტატით.

**დღეს.** ამ თვის 12 მუშათა ცენტრალურ კლუბის საექსკურსიო სექცია აწყობს პირველ ერთდღის ექსკურსიას ლისის ტბაზე. შესაკრები ალაგი „ზემელის აფთიაქთანაა. გამგზავრება დილის 6 საათზე, დაბრუნება თბილისში საღამოს 8 საათზე. ექსკურსიაში ყველა მონაწილენი მიიღებენ თითო გირვანქა იაფ ფასიან პურს. მონაწილეთა ჩაწერა სწარმოებს ცენტრალურ მუშათა კლუბის კანცელარიაში.

# ხელოვნება

**გალ. ტაბიძის საღამო.**

დღეს, 12 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება მგოსან გალაქტიონ ტაბიძის საღამო. საღამოს შინაარსი მრავალ ფეროვანი და საინტერესოა.

**ვანო სარაჯიშვილის საღამო**

14 ივნისს სახელმწიფო საოპერო თეატრში გაიმართება ვანო სარაჯიშვილის საღამო. წარმოდგენილი იქნება ოპერა „ლალატი“. ერეკლეს პარტიას შეასრულებს სარაჯიშვილი, მონაწილეობას იღებენ: ალეშკო, ბოიარსკაია, ელიოზიშვილი, საბინინი და სხვები დირიჟორობს ლოტბარი სტოლერმანი.

15 წელიწადი შესრულდა, რაც ვანო სარაჯიშვილი საოპერო სცენას ემსახურება. წარმოდგენა უფასოა, ბილეთები იქნება განაწილებული წითელ რაზმარს და პროფესიონალურ კავშირებს შორის ჩვეულებრივ წესით.

# პარტიული ცხოვრება

**დაბა ჩოხატაური (გურია).** პარასკევს, 20 მაისს დ. ჩოხატაურში მოწვეული იყო ჩოხატაურის რაიონში შემავალ იაჩეიკების პასუხის მგებელ ამხანაგების კრება დღის წესრიგი: 1. მოხსენება მომენტზე, პარტიის ამოცანები და დისციპლინა; 2. მოხსენებები ადგილებიდან (იაჩეიკებიდან. 3. შაბათობის და კვირაობის მოწყობა. 4. დამოკიდებულება ქალთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან.

1. მოხსენებას მომენტზედ აკეთებს პასუხისმგებელი მდივანი ჩოხატაურის რაიკომისა ნ. ზამბახიძე, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენმა პარტიამ ყოფილი მთავრობისაგან მიიღო გაცარიელებული და სრულიად გაპარტახებული სახელმწიფო და ეს იმ დროს, როდესაც თვითონ პარტიის ძალები დაქსაქსული იყო მენშევიკების მთავრობის გააფთრებული რეპრესიების წყალობით. ამიტომ საქ. კომ. პარტიას და მის მთავრობას დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდება ამ გაძარცულ და დანგრეულ სახელმწიფოს ფეხზე დასაყენებლად. ლაპარაკობენ ამხ. ... და სოლომონ ფოფხაძე, რომლებიც მოუწოდებენ ამხანაგებს პარტიული მუშაობის გაცხოველებისაკენ.

2. იაჩეიკების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ დღემდის პარტიული მუშაობა იაჩეიკებში ვერ ყოფილა შესაფერ დონეზედ. მოხდა იაჩეიკების დანაწილება-გადაჯგუფება; ამ ჟამათ არსებობენ შემდეგი იაჩეიკები: ჩოხატაურის ძირითადი იაჩეიკა, ზემო-ფარცხმის—საყვავის ტყის, შუა-ფარცხმის, გოგოლესუბნის და გუთურის. შაბათობით კვირაობის მოწყობის შესახებ, კრებამ დაადგინა: მომავალ კვირას, 22 მაისს გამოიყვანოს კომ. პარტიის ყველა წევრები სხვა და სხვა სამუშაო იარაღებით, საზოგადო სახლების და სახელმწიფო დაწესებულებათა ბინების შესაკეთებლად და გასაწმენდათ. აგრეთვე მთელი ჩვენის ძალღონით შევეცადოთ შაბათობას ცხოვრებაში სისტემატიურად გატარებას.

— ქალთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან დამოკიდებულების შესახებ კრებამ გამოსთქვა სურვილი, მჭიდრო კავშირი იქონიონ ისეთებთან. ლიტერატურის გავრცელების შესახებ კრებამ დაადგინა: ეცნობოს ყველა გაზეთების რედაქციებს და გრუკავრონსტას, რომ მოაწოდოს ჩოხატაურის რაიონს ლიტერატურა უფრო მეტი ვინემ ეხლა მოსდის, რადგანაც ეს რაიონი აღმოსავლეთ გურიაში სატრანსპორტო ცენტრად ითვლება და ანაწილებს ლიტერატურას და პრესას მრავალ თემებში და რაიონებში.

**ზამბახი.**

**ს. შუხუთი.**

აქ დღიდან გადატრიალებისა დღეობით და საათობით იზრდებოდა და ღვივდებოდა პარტიული მუშაობა. არ გასულა ისეთი კვირა, რომ არ მომხდარიყოს პარტიული კრება, არ მომხდარა ისეთი პარტიული კრება, რომ არ გაკეთებულიყოს მოხსენება პარტიის მნიშვნელობაზე, პარტიულ დისციპლინაზე და სხვა და სხვა პარტიულ საკითხებზე.

არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ დამნაშავე პარტიის წევრი არ დასჯილიყოს და მას კიდევ ალაგი ჰქონებოდეს პარტიაში. არა ერთი განცხადება უნახავთ ადგილობრივ და გამვლელ პირებს აქ გამოკრული: ესა და ეს მოქალაქე გარიცხულია პარტიიდან ამა და ამ დანაშაულობისათვინო. და ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილის წყალობით პარტია სდგას თავის სიმაღლეზე და მან შესძლო და შესძლებს იმ როლის შესრულებას, რომელიც მას დააკისრა რევოლიუციამ.

მაისის 22 ს მოხდა პარტიის გადანუსხვა, ვინაიდან გადამნუსხველმა კომისიამ პარტიის წევრებში ვერავითარი საბრალმდებლო საბუთები ვერ ნახა, ყველა პარტიის წევრები დამტკიცებულ იქმნენ. მას შემდეგ მოხდა პარტიული კრება, კრებას დაესწრო პარტიის სრული შემადგენლობა. არჩეულ იქმნა ადგილობრივი კომიტეტი შემდეგი პირებისაგან: 1. ა. მჭედლიძე პასუხის მგებელ მდივნათ 2. გ. მახარაძე და 3. ს. აბხაძე კომიტეტის წევრებად, ა. იმნაიშვილი და ქ. იმნაიშვილი კანდიდატებად.

შემდეგ კრებამ იმსჯელა სხვა და სხვა პარტიულ საკითხებზე, სადაც ყველა პარტიის წევრთ ემჩნეოდათ მომეტებული სიფხიზლე და ენერგია. ასეთ კრებებზე დამსწრე ურწმუნო თომებიც კი დარწმუნდებიან იმაში, რომ კომუნისტები არ ხუმრობენ, რომ კომუნისტური პარტია არ არის უბრალო სუსტი პარტია, რომელსაც არაფრის შექმნა არ შეუძლია. პირიქით კომუნისტური პარტია შესძლებს შეასრულოს ის დიდი როლი, რომელიც მას დააკისრა რევოლიუციამ. ადგილობრივი პარტიის ხელმძღვანელებისათვის კი შუხუთელი ამხანაგების პარტიული კრება სიხარულის ქრუანტელის მომგვრელია, ვინაიდან ისინი ხედავენ, რომ მათმა შრომამ უქმად არ ჩაიარა და გამოიღო ბრწყინვალე ნაყოფი. გაუმარჯოთ მათ შრომას, გაუმარჯოს ჩვენს ბრწყინვალე მომავალს.

**ა. ბ.**

# პროფესიონალურ კავშირებში

**კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კონფერენცია.**

ივნისის 3 ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა ადგილობრივ კომიტეტების კონფერენცია, ქ. თფილისის კომუნალურ მეურნეობის დაწესებულებებისა და წარმოების ადმინისტრაციათა წარმომადგენლებთან ერთად კონფერენციას ესწრებიან წარმომადგენლნი: კომუნალურ მეურნეობის სამმართველოსი, ტრამვაის საბინაო განყოფილების, აბანოების, ავჭალის წყალსადენის, მებაღეთა, საონკანო სახელოსნოსი, სანიტარულ ტექნიკური სექციის, ცეცხლის მქრობელ რაზმის, საელექტრონო სადგურთა მეეზოვეთა, მრეცხავთა, სამისამართო მაგიდის და სადალაქოთა. ადგილობრივ კომიტეტებიდან დაესწრნენ 45 კაცი, ადმინისტრაციისგან 11. კრება გახსნა კომუნ. მეურნეობის მუშაკთა კავშირის

გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. სერგეევმა, რომლის წინადადებით კონფერენცია შეუდგა პრეზიდიუმის არჩევას.

პრეზიდიუმში აირჩიეს: თავმჯდომარეთ ამხ. სერგეევი, თავმჯდომარის ამხანაგათ კომუნ. მეურნეობის გამგე სოკოლოვსკი, მდივნათ კომუნ. მეურნეობის მუშაკთა კავშირის მდივანი—ამხ. შიროევი.

თავმჯდომარემ ამხანაგ სერგეევმა წინადადება შეიტანა: რადგან კონფერენციის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს და რომ კრებას მიეცეს მტკიცე საქმიანი ხასიათი, წინასწარ დამტკიცდეს პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული რეგლამენტი, რომლითაც დადგენილია განსაზღვრული წეს-რიგი სხდომის მსვლელობისა. კრებამ დაამტკიცა რეგლამენტი.

შემდეგ კრებამ მიიღო პრეზიდიუმის მიერ მუშაობის შემდეგი დღიური წეს-რიგი. 1) მიმდინარე მომენტი, 2) ადმინისტრაციის მოხსენებები, 3) ადგილობრივ კომიტეტების მოხსენებები, 4) ადგილობრივ კომიტეტების როლი და მიზანი სახალხო მეურნეობის საქმეში, 5) კომუნ. მეურნეობის მუშაკთა კავშირის გამგეობის მოხსენება, 6) არჩევანი დელეგატებისა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება ამა წლის 10 ივნისს, 7) საკითხი საწევრო ფულის გადახდევინების შესახებ, 8) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 9) მიმდინარე საქმეები.

თავმჯდომარე მიმართავს დამსწრეთ და მოუწოდებს მტკიცე საქმიანი ხასიათი მივცეთ კრებასო. კონფერენციის მიზანია გამოარკვიოს რა გააკეთა ადმინისტრაციამ ერთის მხრივ და ადგილობრივმა კომიტეტებმა მეორეს მხრივ, მოსპეს თუ არა ზოგიერთი უთანხმოება, რომელიც შენიშნულია მათს ურთიერთობაში; ამ საკითხზე უწყებაში შეტანილია სპეციალური პუნქტი ადგილობრივ კომიტეტების როლისა და მიზნების შესახებ. კრებას შემოქმედებითი ხასიათი უნდა მივცეთ სახალხო მეურნეობის აღდგენასა და მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

სიტყვა ეძლევა მიმდინარე მომენტზე მომხსენებელს ამხ. სოკოლოვსკის, რომელიც აღნიშნავს, რომ ყველასთვის საინტერესო საკითხი მიმდინარე მომენტზე მეტისმეტათ რთულია, რადგან იგი ადგილობრივ ფარგლებში კი არა, მსოფლიო მასშტაბით უნდა იქნას განხილული, რადგან თავისი სიმძიმით იგი მოქმედობს ყველაზედ საერთოდ და სათითაოდ. რევოლიუცია ჯერ არ გათავებულა, იგი გრძელდება მთელ მსოფლიოში, მხოლოდ მისი ტემპი სხვადასხვა ნაირია: იგი ძლიერია რუსეთში, ნელია კლასთა ყრუ ბრძოლა სხვა ქვეყნებში, შეიარაღებული რევოლიუცია, რომელიც წარმოადგენდა ძლევამოსილ ტრიუმფს რუსეთში 17—19 წლებში, როდესაც დათრგუნვილ იქმნენ შინაური კონტრ რევოლიუცია და ინგლისის, შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთში, რუსეთის რევოლიუციამ თავისი ქსელი გაება მთელს მსოფლიოში—გათავდა. ერთერთმა მებრძოლმა მხარემ კაპიტალიზმმა უარჰყო შეიარაღებული ბრძოლა და გადავიდა ეკონომიურ ბრძოლაზე. ეს მეტი გონივრული ნაბიჯია რევოლიუციის ისტორიაში, იგი ამტკიცებს ბურჟუაზიის გამჭრიახობასა და სიმარჯვეს. შეიარაღებულ ბრძოლით გავხრწენით მათი ჯარები და ჯარების საშუალებით მათი ხალხებიც; შევყარეთ მათ რევოლიუციონური ბაცილა, რომელიც ანგრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს; სამაგიეროთ ეკონომიურ ბრძოლაზე გადასვლით და თავისი საზღვრების ჩაკეტით უცხოეთიდან შემოტანილ საქონლისთვის, მათ შეინარჩუნეს მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ დღეს-ხვალ იქ მაინც მოხდება რევოლიუცია და იქნება სწორეთ მუშათა კლასის დიქტატურის სახით, შეიძლება უფრო წესიერი და გეგმა შეწონილი იყოს, რადგან თითონ პროლეტარიატიც იქ უფრო ჩამოყალიბებულია, როდესაც ჩვენში იგი არ არსებობს თავისი წმინდა სახით, თუმცა მიუხედავათ ამისა, კომუნიზმმა გაიმარჯვა ჩვენშიც, რადგანაც ბურჟუაზია დაძველდა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის ბურჟუაზიამ, დაიწყო რა ომი ვერ დაათავა იგი, დაიწყო რა რევოლიუციის ლიკვიდაცია, ვერ მიაღწია მას ისე, როგორც ვერ შესძლო უმუშევრობისა, მუშათა კლასის უკმაყოფილობის და ჩვენი ნედლ მასალის მიუღებლობის ნიადაგზე წარმოებაში აღმოცენებულ მერყეობისადმი გამკლავება. ყველა სახელმწიფოს ინტერესები მეტისმეტად ერთმანეთზე გადახლართული. რევოლიუციამ საქვეყნო მასშტაბით უნდა გაიმარჯვებიოს ერთ ერთ კლასს. ჩვენი მომავალი უზრუნველყოფილია, თუ გაიმარჯვა მუშათა კლასმა. ბურჟუაზიულ სისტემის გამარჯვებაც გადამწყვეტი იქნება. აი პროლეტარიატის შეგნებული კლასი რატომ იბრძვის ასე მედგრათ და იტანს ყოველგვარ დანაკლისს. ბრძოლა განსაკუთრებით გაიზარდა არსებულ ეკონომიურ ბრძოლის პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიამ საზღვრების დაკეტვით მოგვისპო საქონელი, მანქანები და თემაში იწყო ჩვენს განადგურებაზე. ახლა დადგა მომენტი, როდესაც უკან დახევა შეუძლებელია, ვინაიდან იგი არ ეგუება ჩვენს ნებისა ყოფას. ამ მსოფლიო ბრძოლაში ერთის მხრივ არის ბურჟუაზია და მეორეს მხრივ—საბჭოთა ძალა, რომელსაც მისდევენ ყველა დაჩაგრულნი. საქართველო მცირე პროლეტარული ქვეყანაა, მაგრამ სულ ერთია საერთო ტალღა გაიტაცებდა მასაც; უნდა მოუწოდოთ, რომ ჩვენთან წამოვიდნენ მდაბიო მოქალაქენი, წვრილი მესაკუთრენი და გლეხები, ვინაიდან მათი ჩვენთან წამოსვლა მათთვის სასარგებლოა. ეს ეკონომიური ბრძოლა უნდა ეყრდნობოდეს ჩვენს სიმტკიცეს. გასძლებს მხოლოდ ის, ვისაც წელი აქვს მაგარი. ამის თქმა იმ ხალხისადმი, რომელიც იღებს ნახევარ გირვანქა პურს—ძნელია, მაგრამ უკან დახევა არ შეიძლება, რადგან ჩვენი გამძლეობა და მათი ნედლი მასალის დანაკლისი განუწყვეტლივ აუძლურებს მათ და მუშათა კლასში საერთო ღელვას იწვევს. ამგვარი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება და გამარჯვებულნი ჩვენ გამოვალთ, ვინაიდან ჩვენ გაძლე პროლეტარიატი ვართ. ჩვენ ზურგი მაგარი გვაქვს. ამ ბრძოლაში ჩვენ უნდა თავი მოვუქციოთ წვრილ მესაკუთრეებს და ვაჭრებს. და ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენ არა მათი, არამედ საკუთარი ჩვენი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ვინაიდან იმის წართმევა, რაც მათ აქვთ ადვილია, მაგრამ ის დიდ ხანს არ გვეყოფა და როდესაც ყველაფერი გაქრება—ეს ჩვენთვის უარესი იქნება. თუ ის, რაც არის, ძვირია და ჩვენ ვერ შევიძლიან მისი ყიდვა, უკიდურეს შემთხვევაში ბურჟუაზია მაინც იყიდის, რომელიც ამის გამო არა სჭამს ჩვენს პურს. ამას გარდა ჩვენ რომ აგვეკრძალა ვაჭრობა, გლეხისაგან ვერაფრის შოვნას ვერ მოვახერხებდით.

ჩვენ იძულებულნი ვართ მოვიცადოთ და ჩვენ ტაქტიკურ ხერხათ უნდა იყოს —მოთმენა, რომელიც აუცილებელია, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, მომავალ სრულ გამარჯვებისათვის, მაშ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის, რაც არის, ვინაიდან, რამდენადაც უფრო შევინახავთ ჩვენს პატარა მეურნეობას, იმდენად ადვილად გავიმარჯვებთ.

შემდეგ მომხსენებელმა უპასუხა მრავალ შემოსულ შეკითხვებზე. შეკითხვებზე თუ როგორი განსხვავებაა საქართველოში არსებულ ეკონომიურ და ყოფილ მენშევიკების პოლიტიკათა შორის, მომხსენებელმა უპასუხა: რომ განსხვავება დიდი და საფუძვლიანია, ვინაიდან ის პოლიტიკა შეთანხმებითა და იზოლიაციის პოლიტიკაა, რომელსაც ცხოვრებაში ატარებდნენ მენშევიკები, ჩვენ ავიღეთ კურსი გამარჯვებული პროლეტარიატისაკენ, ვინაიდან ბურჟუაზიულმა ხანამ თვისი დრო მოსჭამა, რასაც ვერ უარყოფს ვერავითარი მეცნიერება. შეკითხვაზე არის თუ არა კონცესია დათმობა კაპიტალიზმისადმი და სოციალიზმზე დაშორება, მომხსენებელი უპასუხებს, რომ კონცესიების გაცემა ეს ტაქტიკური ზომაა, ჩვენი მეურნეობის განმტკიცებისათვის.

შეკითხვაზე შეუძლიან თუ არა მსოფლიო რევოლიუციის მოსპოს საქართველო, შეიძლება თუ არა ერი სოციალიზმის მსხვერპლი გახდესო, მომხსენებელმა უპასუხა: არა, რადგან ბრძოლა არა ერებს შორის არამედ კლასთა შორის ჩვენი მტერი ჩვენი ბურჟუაზიაა და მსხვერპლად შეიძლება გახდეს მხოლოდ კლასი.

შეკითხვაზე, სოციალიზმი ერისათვის მყარდება თუ სოციალიზმი სოციალიზმისათვის, მომხსენებელმა უპასუხა, რომ გაიძვერა იქნებოდა ის სოციალისტი, რომელიც მსხვერპლად მიიტანდა არამც თუ ხალხს, არამედ თუნდაც კატას, არა ხალხისთვის არამედ იდეიისთვის.

შეკითხვაზე რატომ არ ახდენს მმართველი პარტია საბჭოების არჩევნებს, მომხსენებელი უპასუხებს, რომ ეს მორიგი საკითხია, თხოულობს ხელისუფლების წინასწარ ორგანიზაციას.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ევროპაში კრიზისი ისეთი სიჩქარით არ ვითარდება, მაგრამ დრო ჩვენი მოკავშირეა და გვმართებს სიმტკიცე. მთელი წარსული ომის დაწყებიდან, გვარწმუნებს იმაში, რომ ბურჟუაზიულმა ქვეყანამ მოსჭამა თავისი დრო; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც რომ ისპობა ის კლასი, რომელიც იყო ძლიერი, მეფობდა რამდენიმე ასი წლიწადი დაიმორჩილა კანონები, სარწმუნოება, მეცნიერება და ცხადია იგი ადვილათ არ დანებდება ახალ კლასსა, რომელიც შეიძლება სუსტი იყოს შეგნებით განათლებით, მაგრამ ძლიერი პროლეტარული ნებისყოფით უნდა ღმერთი იყო, რომ დაასახელო რევოლიუციის დრო, ამაში ისეთი გენიოსებიც სცდებიან, როგორც მარქსი. რევოლიუცია სფინქსია, ამოცანაა, მაგრამ თუ შეუძლებელია მისი ვადის ზედმიწევნით ჩვენება, საერთო დებულების მათითება მაინც შესაძლოა. სწორეთ ისე, როგორც დღევანდლამდე დიდის ხნით, ბევრნი წინასწარმეტყველობდნენ მომავალ რევოლიუციაზე, რომელიც დაკავშირებული იყო მსოფლიოსთან, და სანამ არსებობს საბჭოთა ხელისუფლება, ეს ანტიქრისტე ბურჟუაზიულ ქვეყანაში, ჩვენ ვამბობთ რევოლიუცია იქნება.

შემდეგ კონფერენცია იღებს პრეზიდიუმის წარმოდგენილ რეზოლიუციას მომენტის შესახებ შემდეგი შინაარსისას:

„მოსმენილ იქნა რა ამხ. სოკოლოვსკის მოხსენება მომენტის შესახებ, რომელმაც მიუთითა დღევანდელ მძიმე მდგომარეობაზე, რომელიც შედეგია არა ადგილობრივი, ან საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობისა, არამედ შედეგია ორი დიდი კლასის საერთაშორისო ბრძოლისა, რომლის ტალღები, როგორც მღელვარე ოკეანში, ეხეთქება მარცხნივ და მარჯვნივ და ანგრევს ყოველგვარ დაბრკოლებას თავის გზაზე და ამ ორი მხარის: მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის ბრძოლაში მაღლა უნდა აფრიალდეს 3 ინტერნაციონალის წითელი დროშა, რომელიც არის ერთად ერთი გზის მაჩვენებელი და მოახლოვებული ტალღის მრისხანების წინამორბედი, რომელიც შთანთქავს მთელ წარსულს და შორს არაა ის დღე, როდესაც გაბრწყინდება ამომავალი მზის განთიადი სიმართლისა და ძმობის მშრომელთათვის, არა მარტო აქ, არამედ ყველასათვის მთელ მსოფლიოზე.

გაუმარჯოს კომუნიზმის წითელ ვარსკვლავს, დილის რიჟრაჟს, გაუმარჯოს მშრომელ კლასს, მუშებს, გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს.

---

## პროვინციაში

**ს. ბეთლემი.**

(სენაკის მაზრა).

მუშათა და გლეხთა მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდებამ სიცოცხლე ამ სოფელშიდაც შეიტანა და შვება აგრძნობინა მშრომელ ხალხს, ბოგანოთა და ტვირთ მძიმეთ. თუმცა თებერვლის გადატრიალებამ პირველ ხანებში ამ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა შეაყია და მათგან სხვა და სხვა მითქმა-მოთქმის მეტს ვერაფერს გაიგონებდით, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ეს ჭორიკაობა მალე გაფანტა და მშრომელ ხალხს დაანახა სწორი გზა. მაშინათვე შესდგა სათემო რევკომი, აგრარული კომისია და სხვ. და სხვ. აგრარულ კომისიას თუმც ცოტა გვიან მოუხდა ზომების მიღება მიწა-ადგილის მოწესრიგებაში, მაგრამ მაინც შესაფერისად შეასრულა მან თავისი მოვალეობა. ჩამოართვა ყველა მემამულეს ზედმეტი მიწა-ადგილი და დაურიგა უმიწო-წყლო გლეხებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქაური გლეხობა, რომელსაც ყოველთვის უხდებოდა რამოდენიმე მუქთა ხორების რჩენა თავის სისხლ ნარევი ოფლით, დღეს ასეთებისაგან სრულიად განთავისუფლდა მემამულეს 7 დესეტინისაგან დაუტოვეს იმდენი, რამდენის დამუშავებაც მას შეუძლია თავის პირადი შრომით, და ამდენივე დაურიგდა უმიწაწყლო გლეხებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის რომ აქ სამეურნეო კომუნას ჩაეყარა საფუძველი. პირველ ხანებიდანვე შესდგა აქ ამხანაგობა, რასაკვირველია, კომუნის წევრებს შეადგენენ უფრო ღარიბი გლეხები. სოფლის ბობოლები კი შორიდან უყურებენ და მოელიან მის დაშლას.

კომუნაში არის თითქმის ოცდა ათი კომლი, ხოლო ზოგიერთ კომლიდან ორი სამი მუშა-ხელიც ურევია. ხმათ აქვთ 100 ქცევა მიწა დასამუშავებლად, მაგრამ საშინელმა გვალვამ დიდათ დააბრკოლა მუშაობა, არამც თუ ამ კომუნისა, არამედ მთელს სამეგრელოში. სიმიდის თესვა ჯერ დაწყებულიც არ არის. ბალახი გადამწვარია და დედამიწა ისეა გად მწვარი, რომ შესაძლებელია წვრილფეხა-პირუტყვს ფეხი ადვილად ჩაუვარდეს. ბეთლემის კომუნა ვერ დააფრთხო ამ სტიქიონურმა გვალვამ. მიუხედავად ამისა ისინი განაგრძობენ მედგარ მუშაობას შეძლებისდაგვარად, მათ უკვე მოეპოვებათ 30 ქცევა გამარგლული სიმინდი გარდა ზემოხსენებულ 100 ქცევისა, აქვთ ახლად დათესილი კარტოფილი 1 ნახ. ქცევაზე; ამ გვალვის დროს დათესილია 20 ქცევა მიწა, რომელიც შედის ნაჩვენებ 100 ქცევაში. ყველაფერი ეს იმ დროს, როდესაც მის გარეშე მყოფ მცხოვრებლებს ერთი ნაჭერი მიწაც არ აქვთ გადაბრუნებული. კომუნისათვის ხელი რომ არ შეეშალა ამ ხანგრძლივ გვალვას, უკვე შესანიშნავი იქნებოდა მათი მუშაობის ნაყოფი. სულიერი განწყობილება მათში მშვენიერია. ყველა ასრულებს თავის მოვალეობას და ემორჩილება მათივე მიერ გამოჭედილ დისციპლინას. მათმა მწყობრი მუშაობამ, თოხის სწრაფი ტრიალმა, მომხიბლველი მუშურმა სიმღერამ და მოწრებულმა სიტყვებმა, ვინ იქნება ისეთი, რომ არ მოხიბლოს და არ მიიზიდოს? ზედმეტია მტკიცება. ყველა კარგად გრძნობს მისს (კომუნის) გარეშე მდგომნიც კი, რომ კომუნალური მუშაობას მეტი ნაყოფის მოტანა შეუძლია, ვიდრე ცალკე მუშაობას. კომუნას მიზნად აქვს დასახული, როგორც თავისუფალი დრო ექმნება, დაარსოს აგურის ქარხანა. კირის გამომცხობი ზავოდები და სხვ. სამუშაო იარაღები მათ აქვთ ძველი ფორმის: კავი, სახნისი, თოხი და სხვა ასეთები. საჭიროა განვითარებული საწარმოვო იარაღები და მათი შეძენა. ჯერ-ჯერობით ჩვენს კომუნას ეს ვერ მოუხერხებია, ამ საქმეში, ეჭვი არ არის, მთავრობა აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას და მიაწვდის კომუნას საჭირო ინვენტარს.

საჭიროა ყურადღების მიქცევა მათზე, რათა ამით განმტკიცდეს კომუნალური მუშაობა, რაც აგრძნობინებს კერძო მესაკუთრეებს კოლექტიური მეურნეობის უპირატესობას.

საერთოდ სამეგრელოში წელს აბრეშუმის მოსავალს კარგი პირი უჩანს და კერძოდ ბეთლემიც არ ჩამორჩება სხვა სოფლებს. მეურნეობის ამ დარგზე დიდი იმედებია დამყარებული. ამჟამად სოფელში სარჩოს, სიმინდის ნაკლებობაა, სიმშილმა მწვავედ იჩინა თავი, და თუ დახმარება არ იქმნა მოწყობილი, სოფელი ახალ მოსავლამდი თავს ვერ გაიტანს.

ადგილობრივი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს სიმშილთან ბრძოლაში, მაგრამ სად აქვს იმდენი შეძლება, რომ გაუმკლავდეს მას. რაც ჰქონდა უკვე დაურიგა დამშეულთ. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს სწრაფი და ფართო დახმარება.

გრიშა როგავა.

---

### ხ ა შ უ რ ი.

4 ივნისს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტის ინიციატივით გაიმართა მორიგი შაბათობა. შესრულებული იქმნა სხვა და სხვა დაუყოვნებელი სამუშაონი როგორც რკინის გზაზე ისე ქალაქის გარეშე. შაბათობაში მიიღო მონაწილეობა დაახლოვებით 250-მა კაცმა.

— 4 ივნისს მუშათა კლუბში გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით. წარმოდგენის წინასწარ გაიმართა მიტინგი, ილაპარაკეს ამხ. ე. ბუხნიკაშვილმა, ა. ფირცხალავამ და ქავთარაძემ. პირველმა მათგანმა საგულისხმო ცნობები მიაწოდა საზოგადოებას სასურსათო საკითხის შესახებ. აღსანიშნავია ძველი მუშის, ა. ფირცხალავას სიტყვა. მან მხატვრულად გადასცა საზოგადოებას მოგონებანი თვისი წარსული არალეგალურ მუშაობიდან. შემდეგ დაიდგა პიესა „გაწყვეტილი ჯაჭვი"—შალიკაშვილისა. პიესა თუმცა რევოლიუციონურ ხასიათისა, მაგრამ მეტად გაჭიანურებულია. გარდა ამისა პიესა არ იყო სათანადოდ მომზადებული, საჭიროა მეტი ყურადღება მიეცეს ყოველივე წვრილმანის შესრულებას სცენაზე. არც ერთმა მონაწილემ ხეირიანად თავის როლი არ იცოდა. ვიმედოვნებთ, რომ შემდეგში აღარ იქნება დაშვებული ამნაირად დადგმა პიესისა.

გ. ბ.

---

### ერთი დღე ქ. დუშეთში

დუშეთი ბუნებას შეუქმნია, ადამიანს კი არა. აი თავი და ბოლო დუშეთის მდებარეობისა: გაშენებული მაღლობზე, გარშემო მთები და ტყეები აქვს შემორტყმული, გადაშლილი მინდვრები მწვანეთ ბიბინებენ; წინ პატარა ხევის წყალი ჩამოუდის, რომელსაც, როგორც ეტყობა ბევრი ვერაფერი სარგებლობა მოაქვს მცხოვრებთათვის — წვიმების დროს ადიდდება და ჰირნახულს წალეკავს, სიცხეში კი სრულიად დაშრება.

დუშეთი მდიდარია სალი ჰაერით. თვით ქალაქი ძლიერ ლამაზია. თითქმის მთელი შენობები სულ ხეხილებით არის მორთული. ქალაქს მეტად ამშვენებს მაზრის რევკომის შენობა, მის გასწვრივ კომპარტიის ბიურო და საფინანსო განყოფილების შენობა (ხაზინა). მათ წინ კი მშვენიერი ამწვანებული სასეირნო მოედანი.

კვირა დღე იყო. მზე მწვავედ აცხუნებდა დედა-მიწას, დილა ადრიან მაზრის რევკომისკენ ჩამოვიარე და იქვე საფინანსო განყოფილების წინ აღმართულ სკამზე ჩამოვჯექ შესასვენებლათ.

ჩემს თვალწინ საუცხოვო სურათი გადაიშალა. ყოველ დაწესებულებიდან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდენ მოსამსახურეთა გუნდები, ზოგს ცოცხი გაედვა მხარზედ ზოგს ბარი, ზოგს ნიჩაბი, ზოგს წერაქვი და ზოგს კიდევ სხვა იარაღი, ყველა კომპარტიის ბიუროსთან იყრიდენ თავს, და აქედან ნაწილ-ნაწილათ მიდიოდენ სამუშაოზე.

როგორც შევამჩნიე, კვირა-შაბათობას ყველამ ენერგიით და ხალისით მოკიდა ხელი, მუშა მოსამსახურეებმა, ქალმა, კაცმა, მოხუცმა თუ ბავშვმა ყველა სამუშაოზედ გამოვიდა. დუშეთის მოქალაქენი და არა მოსამსახურენი კი მიისწრაფოდენ სამუშაოზე.

თვით მაზრის რევკომის თავმჯდომარე, რევკომის წევრები და განყოფილების გამგენი სათავეში ჩაუდგენ მუშაობას და მაგალითს უჩვენებდენ ყველა მუშა მოსამსახურეებს.

გულმოდგინეთ და ბეჯითად მუშაობდენ ბაღებში, ქუჩებში და სხვა ყოველგვარ სამუშაოზედ.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ქალაქ დუშეთის მოწინავე ამხანაგები და მათთან გვერდში მყოფი ამხანაგები, რომ ასეთ ერსულოვნობას მიაჩვა ქალაქის მცხოვრებნი და მუშა მოსამსახურეები.

ვაშა ასეთ ამხანაგებს.

საღამო ხანზედ შხაპუნა წვიმამ წამოუშინა, თითო-ოროლა სეტყვაც გამოურია, მაგრამ ისევ მალე გადიღო, ქუჩები გაშრა და ხალხი სასეირნოთ გამოიშალა.

ერთმა კეთილმა ამხანაგმა შემაჩერა და თფილისის ამბები გამომკითხა, რა თქმა უნდა რაც ვიცოდი თფილისის შესახებ ყველაფერი უამბე.

ცოტახნის შემდეგ მე შევეკითხე:

— აქ გასართობები არაა რამე?

— როგორ არა, დღეს საღამოს დუშეთის სახელმწიფო თეატრში „და-ძმა" სდგამს ადგილობრივი თეატრის დასი.

— ბილეთების შოვნა სად შეიძლება?

— ბილეთები უკვე სულ დარიგებულია (უფასოდ არიგებენ) და თუ ისურვებთ წამობრძანებას, ჩემს ბილეთს დაგითმობთ.

ლმობიერად მომმართა მან; მე გადუხადე მადლობა, გამოვართვი ბილეთი და საღამოს რვა საათზე გავსწიე თეატრისკენ, რომელიც მოთავსებულია სამხედრო შენობაში.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი სამხედრო შენობათაგანი უპატრონოდ არის მიტოვებული. ყურადღება უნდა მიექცეს ამ შენობებს, ვინაიდან ეს შენობები სახელმწიფო ქონებას შეადგენენ, და მათი დანგრევა კი ცოდვაა. თეატრის ყოველ კარებთან კონტროლიორები იდგნენ და უბილეთოთ ხალხს არ უშვებდნენ, თეატრი ხალხით სავსე იყო. მესამე ზარის ხმაზედ თეატრი საშინლად გაიჭედა, ყოველი სკამი დაკავებული იყო და ყოველ თავისუფალ ადგილზედ ხალხი ფეხზედ იყო გაჩერებული, ზოგნი შიგ კრიჭაში მიუსხდნენ სცენას და მომქმედთ პირი-პირში შესცქეროდნენ, ხალხი მეტად ხმაურობდა მოქმედებების მსვლელობის დროს. იდგა ერთი ჟივ-ჟივი ბავშვებისა, როგორც სჩანს კარგი ადმინისტრატორი არ ჰყავს თეატრს.

ამ თეატრის აღორძინებასა და წარმოდგენების კარგ მსვლელობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მსახიობ რეჟისორს ალ. ჯაყელს, რომელმაც ეს ერთი წელიწადია ამ თეატრს შეალია თავისი ენერგია. ამ ერთი წლის წინად მთელი ორი სამი თვის განმავლობაში ერთ წარმოდგენასაც ვერ იხილავდა ხალხი, დღეს კი ყოველ კვირა ორ-ორი წარმოდგენა იდგმის.

დაიწყო წარმოდგენა „და-ძმა", რეჟისორი ჯაყელი გაიოზის როლს ასრულებდა, მის მიხვრა-მოხვრაში სრულიად ვერ სჩანდა ის გმირული გამომეტყველება, რომელიც ავტორმა მიანიჭა გაიოზს, ის უფრო ხანშესულ მეომარს წარმოადგენდა, მაგრამ მეტის მეტი მიმიკა და ხელფეხის ქნევა სცენაზედ სრულიად უფუჭებდა მსახიობს ნიჭს.

მეტად კარგი იყო მსახიობი ქალი ნინო მეჭავარიანი მარინეს როლში. ეს ქალი უნდა ჩაითვალოს დუშეთის თეატრის თვალად.

აგრეთვე ძლიერ კარგი იყო „ოტია" მსახიობი ნ. მამულაშვილი, ის ნამდვილ იმ დროის ქართველ თავადიშვილის წარმოადგენდა თავის სახის გამომეტყველებით და წარმოსადეგი ვაჟკაცობით.

არა უშავდა რა აგრეთვე მსახიობ აბაკელიას მოხუც ადამიას როლში, თუმცა კოლო და ხმა ახალგაზრდა კაცის ჰქონდა, უწინდელ მოხუცებულ ადამიანის მიხვრა-მოხვრას და წესს მოკლებული იყო.

კარგი იყო ბარნაბიშვილი ფაშა ეფენდის როლში, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ბარნაბიშვილს უფრო მეტი მოეთხოვებოდა.

მაინც დიდი მადლობის ღირსნი არიან რეჟისორ მსახიობი ალ. ჯაყელი თავისი დასით.

დღეს დუშეთის თეატრი აღორძინების გზაზედ სდგას და იმედია შემდეგში უფრო გააფართოვებს ადგილობრივი დასი თავის მოქმედებას.

ერთი დღის სტუმარი.

---

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—წერეთლის ქ. 136, თეატრი „[illegible]" ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—[illegible] ბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—[illegible]

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible]

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

---

## განცხადებანი

### სხვა და სხვა

ორშაბათს, 13 ივნისს დღის 4 საათზე შესდგება სხდომა მხედავთა კავშირთან არსებულ კომფრაქციის, საყურადღებო საკითხების გასარჩევათ. კომფრაქციის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. სხდომა შესდგება კავშირის ბინაზე.



საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.